



სწავლების მეთოდოლოგიის კრებული სამართლის სადოქტორო პროგრამებისთვის

თბილისი
2017

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 3 |
| ეფექტური სწავლების და სწავლის მეთოდები | 5 |
| მეტაკოგნიცია და მულტიმოდალური პრეზენტაცია..... | 5 |
| კონტექსტუალური კავშირები/ცოდნის დამენება | 7 |
| აქტიური სწავლა | 10 |
| შეფასება | 14 |
| დასკვნა | 16 |
| დანართი..... | 17 |
| სავარჯიშო 1..... | 17 |
| სავარჯიშო 2..... | 31 |
| სავარჯიშო 3..... | 34 |
| სავარჯიშო 4..... | 40 |
| სავარჯიშო 5..... | 42 |
| სავარჯიშო 6..... | 46 |
| სავარჯიშო 7..... | 55 |
| სავარჯიშო 8..... | 59 |

შესავალი

წინამდებარე კრებულის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სამართლის სწავლების სადოქტორო კურსში ისეთი თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების განსაზღვრას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის მიერ ცოდნის შემეცნების ეფექტიანობის ამაღლებისკენ და უნივერსიტეტებში სწავლების მეთოდების ერთიანი სტანდარტის დამკვიდრებისკენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, კრებულში დიდწილად წარმოდგენილია ისეთი სწავლების თეორიები, რომელიც ითვალისწინებს რა სტუდენტების განსხვავებული აქტის, ანალიზისა და ათვისების უნარს, ლექტორებს ეხმარება ეფექტიანი მეთოდის/ების შერჩევასა და დანერგვაში.

აღნიშნული კრებულის მომზადებას წინ უძღოდა ორი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში სამართლის სწავლების სადოქტორო კურსების ლექტორები შვიდი უნივერსიტეტიდან. პროექტში ჩართულნი იყვნენ ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის, კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის საერთაშორისო, საქართველოს და ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორები. საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების (ვოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, რორი ბაჰადური, ასევე თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი ქეთევან ირემაშვილი და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი თამარ თომაშვილი) მიერ მომზადდა სავარჯიშოები მაგალითების სახით, რომლის პრეზენტაციაც სამუშაო შეხვედრის ფორმატში განხორციელდა. ამასთანავე, მოცემული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მონაწილეთა მხრიდან მოხდა საქართველოში სწავლების მეთოდების ირგვლივ არსებული გამოცდილების გაზიარება, თანამედროვე მიდგომების განხილვა ე.წ. “სწავლა კეთებით” ფორმატში.

თავდაპირველად, კრებულში აღწერილია ეფექტიანი სწავლების მეთოდების შემადგენელი ელემენტები, როგორცაა მეტაკოგნიცია და მულტიმოდალური პრეზენტაცია, ცოდნის დაშენება და აქტიური სწავლა. პირველი ნაწილის მიწურულს ასევე მოკლედ წარმოდგენილია შეფასების სისტემა. კრებულის მეორე ნაწილში მოცემულია სავარჯიშოები ზემოაღნიშნული სწავლების მეთოდების ელემენტების გათვალისწინებით. კერძოდ, სავარჯიშოები მოიცავს ლექციის, სილაბუსის დიზაინის და კლინიკური სწავლების მოდელირებას. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით მოცემულია შეფასების (ტესტირება, როლური თამაში, და ა.შ.) და ტექნიკური (ე.წ. რუბრიკა) ფორმების მაგალითები. ყოველ სავარჯიშოს ახლავს განმარტება და სავარაუდო ამოხსნა.

კრებულში განხილული სავარჯიშოები განსხვავებულ სამართლებრივ სფეროებს მოიცავს, მათ შორის ზოგიერთი მათგანი უშუალოდ სწავლების მეთოდების ტექნიკურ ან/და პროცედურულ მხარეს შეეხება. მსგავსი მიდგომა მიზნად ისახავს კრებულში მოცემული მაგალითების საფუძველზე მკითხველს შეექმნას ზოგადი ხასიათის თეორიული და პრაქტიკული წარმოდგენა, თუ რას მოიცავს თანამედროვე სწავლების მეთოდები და მიდგომები. ამავე დროს, სავარჯიშოების ნაირსახეობა ცხადყოფს, რომ თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენება შესაძლებელია სამართლის სხვადასხვა დარგში. საბოლოოდ, კრებულის მიზანია მკითხველს დაანახოს, რომ თანამედროვე

პედაგოგიური მეთოდები უკეთესი შედეგის მომტანია ვიდრე სალექციო ტიპის სწავლება სამართლის სფეროს და საკითხის მიუხედავად.

პროექტის მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული „კანონის უზენაესობის მხარდამჭერის პროგრამა საქართველოში“ (PROLoG), რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). წინამდებარე კრებულის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მისი ავტორები. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

ეფექტური სწავლების და სწავლის მეთოდები

სამართლის სკოლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისთვის სათანადო ცოდნის და უნარების შექმნა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს პრაქტიკაში გადაჭრან სამართლებრივი საკითხები და პრობლემები. აღნიშნული კი დიდწილად დამოკიდებულია სწავლების მეთოდებზე რომელსაც იყენებს სამართლის სკოლა სტუდენტებისთვის ცოდნის “გადაცემის” ეტაპზე. საუნივერსიტეტო დონეზე ინსტიტუციონალური კუთხით სწავლების მეთოდები წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ კურსს, რომლის ფარგლებშიც მომავალი ლექტორები (დოქტორანტები) ეუფლებიან სწავლების მეთოდებს. შესაბამისად, მოცემულ კრებულში ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხებზე, რომელიც სასურველია გათვალისწინებული იქნას სამართლის სწავლების სადოქტორო კურსის ფარგლებში.

კერძოდ, სამართლის სწავლების სადოქტორო კურსი, როგორც წესი უნდა ითვლისწინებდეს შემდეგი ოთხი კომპონენტის შემცველებას და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობას:

1. მეტაკოგნიცია და მულტიმოდალური პრეზენტაცია
2. კონტექსტუალური კავშირები/ცოდნის დაშენება
3. აქტიური სწავლა
4. შეფასება

ქვემოთ მოკლედ მიმოხილულია ყოველი აღნიშნული ცნების განსაზღვრება, არსი და მნიშვნელობა. ყოველ კომპონენტს გააჩნია მისი შესატყვისი სავარჯიშო, რომელიც მითითებულია განმარტებისას და თან ახლავს ტექსტს დანართად.

მეტაკოგნიცია და მულტიმოდალური პრეზენტაცია

მეტაკოგნიცია განისაზღვრება როგორც სწავლის, ან აზროვნების პროცესების გაცნობიერება, ან მათი ანალიზი. ამასთანავე, მულტიმოდალური პრეზენტაცია აღიარებს რომ ერთიდაიგივე საკლასო გარემოში თითოეული სტუდენტი სხვადასხვაგვარად ითვისებს მიცემულ მასალას. ნებისმიერ კლასში მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მასალის იმგვარად გადაცემა, რომ მაქსიმუმამდე გაიზარდოს ინდივიდუალური პირებისთვის ცოდნის გადაცემა რომლებიც სხვადასხვაგვარად ითვისებენ მასალას. ამ პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, ლექტორებმა სულ მცირე უნდა იხელმძღვანელონ ისეთი პედაგოგიური მეთოდებით, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს გამოიყენონ ვიზუალური, კოლაბორაციული და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები.

იმისათვის, რომ დავებმართო სტუდენტს გააცნობიეროს რამდენად მნიშვნელოვანია იცოდეს თუ როგორ სწავლობს, სტუდენტებით სავსე კლასში გააკეთეთ შემდეგი სავარჯიშო: ჰკითხეთ სტუდენტებს თუ როგორ მოიქცეოდნენ თუკი საჩუქრად მიიღეს რთული ელექტრონული მოწყობილობა და წარმოდგენა არ აქვთ როგორ მოიხმარონ. ყველაზე ტიპური მაგალითი შეიძლება იყოს რთული მართვის პულტი სახლის სტერეო სისტემისთვის, ანდა ახალი ტელეფონი. შემდეგ უთხარით, რომ მოწყობილობის გამოყენებაში გასარკვევად მხოლოდ სამი არჩევანი აქვთ - ა. შეუძლიათ წაიკითხონ ინსტრუქცია და ნაბიჯ-ნაბიჯ გაყვნი მითითებებს, ბ. შეუძლიათ უბრალოდ დაიწყონ ყველაფრის თავად მოსინჯვა და გამოცნობა, ანდა გ. დარეკონ ცხელ ხაზზე, ან მეგობართან რომელმაც იცის მოწყობილობის გამოყენება და მიიღონ შესაბამისი მითითება. სტუდენტები შეთავაზებული სამი ვარიანტიდან სხვადასხვა გზას აირჩევენ.

ის სტუდენტები რომლებიც პირველ გზას აირჩევენ ძირითადად *ვიზუალური შემსწავლელები* არიან. შეგიძლიათ უთხარათ, რომ ისინი ინფორმაციას ყველაზე კარგად მასალის წაკითხვის, დიაგრამების, ცხრილებისა და სხვა მსგავსი ვიზუალური გამოსახულების გამოყენებით ითვისებენ. სტუდენტები, რომლებმაც მეორე გზა აირჩიეს მიდრეკილი არიან *გამოცდილებით სწავლისაკენ*. ისინი ყველაზე კარგად პრობლემის მოგვარებისა და ჰიპოთეზების შედგენის გზით სწავლობენ. და ბოლოს, ისინი ვინც მესამე გზა აირჩია, პირველ რიგში *კოლაბორაციული შემსწავლელები* არიან, რომლებიც მასალას ყველაზე უკეთ ცნებების ზეპირსიტყვიერად გამოხატვით ითვისებენ. ამ სავარჯიშოს მთავარი მიზანია უბიძგოთ სტუდენტებს დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ სწავლობენ ყველაზე ეფექტიანად და გამოიყენონ ის ტექნიკა რომელიც ყველაზე შედეგიანია მათთვის. ეს სტუდენტებისთვის მეტაკოგნიციის დასაწყისია. მეტაკოგნიციის ცოდნასთან, ან იმის გარკვევასთან თუ როგორ სწავლობს ინდივიდუალური პირი პირდაპირ კავშირშია იმის გაცნობიერება, რომ ნებისმიერი კლასი შედგება სხვადასხვა პირებისგან, რომლებსაც სხვადასხვაგვარად უნდა მიაწოდოთ მასალა რათა ოპტიმალურად გაზარდოთ მასალის მიწოდების ეფექტიანობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ მასალის მიწოდება მულტიმოდალურად უნდა განხორციელდეს.

იხილეთ სავარჯიშოები #1, 2, 3, 4 & 5.

კონტექსტუალური კავშირები/ცოდნის დაშენება

კონტექსტუალური კავშირები/ცოდნის დაშენება წინამდებარე გზამკვლევაში გამოყენებულია როგორც ეგრეთწოდებული კოგნიტური სქემის თეორია.¹ ამ პედაგოგიური ცნების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ცოდნის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუკი ეს ახალი ცოდნა რაიმე სახით დაკავშირებულია, ან “მიბმულია” პირისათვის უკვე ნაცნობ საკითხთან (მაგ. უკვე არსებულ ცოდნასთან).

ცოდნის დაშენება, ანდა კოგნიტური სქემის შექმნა, შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს ახალი ცოდნა უკვე არსებული ცოდნის კონტექსტში აითვისოს. მაგალითად, ავიღოთ სკოლამდელი ასაკის აღმზრდელიობითი დაწესებულების ჰიპოთეტური კლასი, სადაც მასწავლებელმა შეიძლება შემდეგი სახის სავარჯიშო გამოიყენოს ბავშვებისთვის ცხოველების საცხოვრებელი ადგილის ასახსნელად:

¹იხ. მაგალითად, <https://www.etsu.edu/fsi/learning/schematheory.aspx>

სქემა (ზოგადი წარმოდგენა/წარმოსახვა) არის ჯ.პიაჟეტის მიერ წარმოდგენილი აბსტრაქტული ცნება, რომელიც გამოიყენება აბსტრაქტული ცნებების აღსაწერად. სქემები გაგების ელემენტებია, რომლებიც შეიძლება იერარქიულ კატეგორიებად დავაწყოთ და ასევე ერთმანეთთან რთული მაკავშირებლებით ქსელის ფორმით განვალაგოთ.

მაგალითად, წარმოიდგინეთ სახლი. სავარაუდოდ უმალ გაგახსენდებათ სურათი ბავშვების ზღაპრების წიგნიდან: ოთხი ფანჯარა, წინა კარი, სოფლის გარემო, საკვამური. თუმცა, თუკი მე ობიექტის სახელს სულ მცირედით შევცვლი თქვენი სქემა უფრო დახვეწილ ვერსიად იქცევა. რა წარმოგიდგებათ თვალწინ თუკი ვიტყვი სახლი ბელეტაჟზე? ერთი კარები, სავარაუდოდ წინა ფანჯრების გარეშე, დარიბული გარემო.

ეს მარტივი მაგალითია, მაგრამ ჩვენს წარმოდგენაში არსებული სქემები საოცრად რთულდება სამყაროს უკვე შეცნობასთან ერთად, რომ აღარაფერი ვთქვათ სფეროს ექსპერტად გახდომის შემდეგ. რაც მეტი ვიცით, მით უფრო დიდი და რთულია ჩვენი სქემები. თუმცა რაც მეტი ვიცით, მით უფრო ადვილია დამატებით ახალი ინფორმაციის დამახსოვრება, რადგან მათ სწორედ არსებულ სქემებთან ვაკავშირებთ - უკვე არსებული ინფორმაცია შესაძლებელს ხდის ახლის მასთან დაკავშირებას და მიბმას.

სტუდენტების შემთხვევაში, მათი სქემები მოცემული ცნებების შესახებ უკვე არსებულ ცოდნაზე დამოკიდებული. მათ შეიძლება ხსენებული ცნებები უკვე ნასწავლი ჰქონდეთ წინა ლექციებზე, ანდა საკუთარი გამოცდილების მეშვეობით. რაც “იცინა” შეიძლება არასწორი იყოს. ჩვენი მოვალეობაა გავაფართოვოთ, ანდა შევასწოროთ მათი სქემები ჩვენს სფეროსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცნებების შესახებ.

თუმცა, ინფორმაციის სქემაზე მიბმა არ მოხდება, თუკი ინფორმაციის მიღების პროცესში არ ვიფიქრებთ არსებულ სქემებზე. მაგალითად თქვენ გარკვეული წარმოდგენა გააჩნიათ პრეისტორიულ ნამარხ ნივთებზე და წახვედით სამოგზაუროდ Gray Fossil Site-ზე (ნამარხი ნივთების ადგილას). მაშინ როდესაც გიდი გიჩვენებთ ახალ აღმოჩენილ ნამარხ ნივთებს (რომელიც თქვენთვისაც ახალია), თქვენ მუზეუმის დიზაინსა და არქიტექტურაზე ფიქრობთ, ამიტომ გიდის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ერთი ყურით ისმენთ და მეორედან უშვებთ.

იმუშავეთ წყვილებში: მიუსადაგეთ მარცხნივ მოცემული ცხოველი მარჯვნივ მოყვანილ საგნებს



აღმზრდელობითი დაწესებულების მასწავლებლის მიერ ცოდნის დაშენების გამოყენების მნიშვნელობა ნათელი ხდება, თუკი წარმოვიდგინოთ რომ აღნიშნული მეთოდის მაგიერ ის პირდაპირ ლექციის სახით მიაწვდის სტუდენტებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ორგანიზმები რომლებიც მიეკუთვნებიან ცხოველთა ფილოგენეტიკურ სამეფოს და მტაცებელი ფრინველები საცხოვრებელს ხშირად აგებენ დამპალ და გამომშრალ ორლებნიან მაღალ ხეზე. ეს საცხოვრებლები ხშირად უკავიათ გაქვავებულ და ბურთის ფორმის რეპროდუქციულ ოვციტებს, რომლებიც ამ ცხოველების უმეტესობის რეპროდუქციული პროცესის ნიმუშს წარმოადგენენ.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ზემოთ შემოთავაზებული სავარჯიშოს გამოყენებით მასწავლებელი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს უკვე არსებულ ცოდნაზე დააშენონ ახალი ცოდნა. მაგალითად, კლასში დამსწრე ბავშვების უმეტესობა შეიძლება ცხოვრობდეს ისეთ საცხოვრებელში, რომელიც ძალიან ჰგავს სახლს, ან ბინას და შესაბამისად შეძლებს გამორიცხვის მეთოდით სურათების ერთმანეთთან დაკავშირებას. ზოგიერთ ბავშვს შეიძლება ძალიან ჰყავდეს, რომელიც გარეთ სპეციალურად მისთვის აგებულ სახლში ცხოვრობს და ამგვარად უკვე ორი სურათის დაკავშირებას შეძლებს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სავარჯიშოს თანატოლთან თანამშრომლობით აკეთებენ და ამგვარად მთელი კლასი სარგებლობს ერთმანეთის კოლექტიური ცოდნით. და ბოლოს, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ დაასკვნან, რომ ჩიტი ბუდეში ცხოვრობს. ამგვარად სტუდენტები ჩიტსა და მისთვის დამახასიათებელ საცხოვრებელს შორის კავშირს სხვა საცხოვრებლების შესახებ არსებული ცოდნის საფუძველზე იგებენ.

ამ მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები თავად მიხვდნენ როგორ შეასრულონ დავალება. ყველაზე მნიშვნელოვანი სტუდენტების მიერ გადაწყვეტილების თავად მიღების და


არსებულ ცოდნაზე ახალი ინფორმაციის დამატების/დაშენების მეთოდის გამომუშავების ხელშეწყობაა.

ამისაგან განსხვავებით, ლექციის საშუალებით უფრო მოკლე ხანში ხორციელდება ინფორმაციის გადაცემა სტუდენტებისთვის, თუმცა ახალი მასალის შესწავლა ნაკლებად ეფექტიანი ხდება, ვიდრე მაშინ როდესაც ამისათვის სავარჯიშოს იყენებენ. მიზეზი ის გახლავთ, რომ მასწავლებელი სალექციო მეთოდის გამოყენებისას ექსპერტულ (სპეციფიკურ) ენას იყენებს დამწყებ მსმენელებთან ინფორმაციის მისაწოდებლად. მსგავსი ტიპის კომუნიკაციის არაეფექტიანობა განსაკუთრებით ცალსახაა სამართლის ლექციებზე, როდესაც სტუდენტებს ვეუბნებით, რომ “უკეთესად უნდა გააანალიზონ”, ანდა აუცილებელია “ფაქტების ნორმასთან მისადაგება”. ენა რომელსაც ვიყენებთ, ისეთივე უცხოა ახალბედა სამართლის სტუდენტებისთვის, როგორც ჩიტების ფილოგენეტიკური კლასიფიკაციის ზემოთ განხილული მაგალითი, და მიუხედავად ამისა, ხშირად გვიკვირს, თუ რატომ ვერ “იგებენ” სტუდენტები მასალას იმის მიუხედავად თუ რამდენჯერ “გავუმეორებთ”.

ზრდასრული მსმენელების შემთხვევაში, ცოდნის დაშენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს ნათლად ესმით ახალი ინფორმაციის გამოყენებადობის მნიშვნელობა. ამის დემონსტრირება შემდეგი სავარჯიშოს მეშვეობით შეიძლება. წარმოიდგინეთ, რომ იგივე სტუდენტებს რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, პირველად ვასწავლით ინგლისურ ანბანს. დაწყებითი სკოლის მასწავლებელს ორი მეთოდით შეუძლია ანბანის სწავლება. მას შეუძლია გამოიყენოს შემდეგი სავარჯიშო:

რომელი ასო არის ქვემოთ მოყვანილი საგნების პირველი ასო და საიდან იცით ეს?

ა ბ გ დ



ანდა შეუძლიათ შემდეგნაირად დაიწყონ ანბანის სწავლება:

- ასო “ა” ანბანის პირველი ასოა და ის ჰგავს მსხალს რომელიც მარცხენა მხარეს ბოლომდე დახურული არ არის და მსხლის ყუნწივით აქვს წაწვეტებული მხარი.

წინა მაგალითის მსგავსად, მეორე მეთოდით სწავლება ამჯერადაც წარუმატებელი იქნება, ვინაიდან მართალია სწავლება ტექნიკურად ხორციელდება, მაგრამ ექპერტ მომხსენებელს (მასწავლებელს) და ახალბედა შემსწავლელს შორის კავშირი მცირეა ან საერთოდ შედეგს არ იძლევა.

ლექციური მეთოდისგან განსხვავებით სავარჯიშოს გაკეთება შემსწავლელს გაახალისებს კიდევ, ვინაიდან ზოგიერთ ბავშვს ეცოდინება რომ ალუბალი “ა” ბგერით იწყება და სურათს/ვიზუალს დაუკავშირებს შესაბამის ბგერას. მასალის გამოყენებადობის აღქმის შემდეგ, იზრდება მისი შესწავლის სურვილი და თავად სწავლის პროცესიც მეტი ჩართულობით გამოირჩევა.

იხილეთ სავარჯიშოები #1, 2, 3, 4 & 5.

აქტიური სწავლა

აქტიური სწავლა არის სწავლის პროცესი, რომელიც ისეთი მითითებითი სტრატეგიების შედეგად წარმოიშობა, რომელიც გულისხმობს სტუნდენტების ინტელექტუალურ და ფიზიკურ ჩართულობას მიცემული საკლასო დავალებების შესრულების პროცესში. აქტიური სწავლა, პასიური სწავლის ანტონიმია, რომელშიც ლექტორის მხრიდან სტუნდენტის მიმართ ცალმხრივი კომუნიკაცია ნორმაა. აქტიური სწავლა სტუნდენტებისა და ლექტორების ერთად მუშაობას და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს. ამგვარად, კლასში გაკეთებული მითითებები ძირითადად არა სწავლებაზე, არამედ შესწავლაზე არის მიმართული. ასეთ საკლასო გარემოში სტუნდენტები ჩართული არიან აქტივობებში, როგორებიცაა მონაცემების შეგროვება, საკითხების განსაზღვრა, პრობლემების დასახელება, ჰიპოთეზების შექმნა და ტესტირება, დასკვნების გაკეთება და შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა და დაცვა. მთავარი მიზანი კი დამოუკიდებელი შემსწავლელების მომზადებაა.²

სამართლის ლექტორთა შორის იდეური ერთსულოვნების მისაღწევად აუცილებელია ტერმინთა ერთიან მნიშვნელობაზე შეთანხმება. აქტიურ სწავლას დღემდე ინტერაქტიულ სწავლებასთან აიგივებენ. ინტერაქტიული სწავლებისგან განსხვავებით, აქტიური სწავლა კონკრეტულ მიზანს უკავშირდება. ინტერაქტიული სწავლება, ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით, ჯგუფთან აქტიურ კომუნიკაციასა და სასწავლო პროცესში ჯგუფის აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. ამ პროცესში სამართლის ლექტორს აქტიური როლი აქვს. სწორედ მან უნდა მართოს ჯგუფური დისკუსიები და იდეების ჯგუფური გენერირება (ე.წ. ბრეინსტორმინგი). აქტიური სწავლა კი ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას მოიაზრებს, რომელშიც სამართლის ლექტორს საკლასო მუშაობის ეტაპზე მინიმალური (ან შეიძლება ითქვას სიმბოლური) როლი აქვს. ჯგუფური დისკუსიისა და იდეების ჯგუფური გენერირებისგან განსხვავებით, ლექტორი ნაკლებად აქტიურია. კლასში სასწავლო პროცესის გაძლიერება მისი მხრიდან მხოლოდ ტექნიკური ფუნქციების შესრულებას გულისხმობს. მაგალითად, სასწავლო მასალების დარიგება, სავარჯიშოს ინსტრუქციის ახსნა და მისთ.

² California Department of Education – Definition of Active Learning available at <http://pubs.cde.ca.gov/tcsii/ap/glossary.aspx>

ვიზუალური თვალსაზრისით, ინტერაქტიული სწავლების პროცესში ლექტორი უფრო აქტიური ჩანს, აქტიური სწავლის მეთოდის გამოყენებისას კი - შედარებით პასიური. აქტიური სწავლისას ლექტორის მთელი დატვირთვა და სამუშაო პროცესი მოსამზადებელ ეტაპს უკავშირდება.

თანამედროვე იურიდიული პედაგოგიკა ინდივიდუალური შემსწავლელის გაზრდის კონცეფციას ემყარება. მეტაკოგნიტური შემეცნებაც, როგორც თანამედროვე იურიდიული პედაგოგიკის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი, სწორედ შემსწავლელის მიერ სწავლის პროცესის აღქმას მოიაზრებს. ასეთი მიზნების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ სამართლის ლექტორმა შეასრულოს გზამკვლევის და არა მხოლოდ ორატორის ფუნქცია.

თითოეული საკლასო მუშაობა ლექტორის მიერ იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოფილი იყოს ლექტორის მინიმალური ჩართულობა და სტუდენტების მიერ ინდივიდუალური შესწავლის მიზნის რეალიზაცია. აღნიშნული მოითხოვს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას და მრავლობითი სავარჯიშოების მომზადებას. ამასთან, წარმატების მისაღწევად ლექტორმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს სტუდენტებში შესწავლის არაპოპულარული შესაძლებლობების არსებობა. კერძოდ, სწავლების მეთოდები იმგვარად უნდა დაბალანსდეს, რომ ყველა ტიპის სტუდენტს სწავლისთვის მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები შეექმნას. ყველაზე განზოგადებული მნიშვნელობით, აღნიშნული გულისხმობს გუნდური და ინდივიდუალური, წერიტი და ზეპირი სავარჯიშოების ჩართვას სასწავლო პროცესში. სიღრმისეული მნიშვნელობით კი აღნიშნული პედაგოგის მიერ სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას და გათვალისწინებას მოითხოვს.

ლექტორის მხრიდან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სწავლების მეთოდების დაბალანსება და სტუდენტების ინდივიდუალური თავისებურებების გაცნობიერება ის ღირებულებებია, რომელთა გარეშეც ინდივიდუალური შემსწავლელის გაზრდის მიზანი მიუღწეველი დარჩება.

პრაქტიკული რჩევები აქტიური სწავლებისათვის

- 1) განსაზღვრეთ კონკრეტული საკლასო მუშაობის მიზანი.** შეუსაბამეთ ის კონკრეტული სასწავლო დისციპლინისთვის წინასწარ განსაზღვრულ მიზნებს ცოდნის შეძენისა და პროფესიული უნარების განვითარების ნაწილში. კონკრეტული საკლასო მუშაობის მიზანი მიუსადაგეთ საკლასო მუშაობისთვის განსაზღვრულ დროს. ეს შეეხება როგორც მთელი საკლასო მუშაობის დროს, ისე მის რომელიმე ეტაპს.
- 2) გაწერეთ თქვენი საკლასო მუშაობის გეგმა.** მარტივად აღსაქმელი ერთგვერდიანი გეგმა საკმარისია. გეგმაში გამოყავით საკლასო მუშაობის ეტაპები. დაასათაურეთ ეტაპები და განსაზღვრეთ დრო თითოეული მათგანისთვის. ეტაპებისა და სავარჯიშოების რაოდენობა/ხანგრძლივობა მიუსადაგეთ საკლასო მუშაობისთვის განკუთვნილ დროს.
- 3) თითოეული საკლასო მუშაობის დაგეგმვის ეტაპზე გაითვალისწინეთ სტუდენტების სწავლის განსხვავებული შესაძლებლობები.** თუ კონკრეტული საკლასო მუშაობისთვის იყენებთ ერთზე მეტ სავარჯიშოს და ასეთი გადაწყვეტა არ ეწინააღმდეგება თქვენს კონკრეტულ სასწავლო მიზნებს, გუნდურთან ერთად გამოიყენეთ ინდივიდუალური სავარჯიშოები, ხოლო ზეპირთან ერთად კი - წერილობითი.

- 4) საკლასო აქტივობების/სავარჯიშოების გამოყენებისას გაეცით კონკრეტული, ზუსტი და ყველასთვის გასაგები ინსტრუქციები. დააკონკრეტეთ, რა ტიპის სამუშაოს სთავაზობთ სტუდენტებს: გუნდურს თუ ინდივიდუალურს, ზეპირს თუ წერილობითს. ახსენით დავალების შინაარსი სასწავლო მასალების დარიგებამდე. სიცხადე მნიშვნელოვანია როგორც ზეპირი ინსტრუქციის, ისე სასწავლო მასალებისთვის. შეადგინეთ იმ მოცულობის სავარჯიშო მასალები, რომელთა წაკითხვა და გააზრებაც შესაძლებელი იქნება ამ სავარჯიშოსთვის განკუთვნილ დროში. შეადგინეთ ვიზუალურად მარტივად აღქმადი მასალა. საჭიროების შემთხვევაში ტექსტის ცალკეული ნაწილები, თქვენი მოსაზრებების მიხედვით, გამოყავით - გამოკვეთეთ მუქად ან გაუსვით ხაზი ქვეშ. სასწავლო მასალა ყურადღებით წაიკითხეთ კლასში გამოყენებამდე. იურიდიულ ტექსტში გრამატიკული უზუსტობა ხშირად მნიშვნელოვან შინაარსობრივ განსხვავებებს განაპირობებს.
- 5) გონებრივი იერიში, ე.წ ბრენსტორმინგი სწავლების შეუცვლელი მეთოდი არ არის. იდეების გენერირება ჯგუფური დისკუსიის მეშვეობით, მართული კითხვა-პასუხი, შედეგების ვიზუალიზაცია და შეფასება, როგორც ბრენსტორმინგის განუყოფელი ეტაპები, ღირებულია სწავლების პროცესში. თუმცა, არ არსებობს საჭიროება მათი ყოველი საკლასო მუშაობის დროს გამოყენებისა. ბრენსტორმინგის გამოყენების საჭიროებას უმთავრესად შესასწავლი საკითხი და სწავლების მიზანი განსაზღვრავს. ბრენსტორმინგის გამოყენებისთვის წინასწარ განსაზღვრეთ კლასში დასასმელი კითხვების შინაარსი და რიგითობა, სავარაუდო შედეგების შინაარსი და თქვენი საბოლოო შეფასების შინაარსი. ნუ გადაჯაბნით სტუდენტების მონაწილეობას, მაგრამ მართეთ პროცესი.
- 6) ნებისმიერი ტიპის სავარჯიშოს გამოყენების შემდეგ დაიტოვეთ დრო შეჯამებისთვის. ეს აუცილებელი კომპონენტია სასწავლო მიზნის მისაღწევად. შეჯამება არ გულისხმობს აუცილებლად სალექციო/თეორიული მეთოდის გამოყენებას, თუმცა არც გამორიცხავს მას. შეჯამების მეთოდის შერჩევა მეტწილად განისაზღვრება მისთვის დარჩენილი დროის მოცულობით. ამასთან, შეჯამების ფორმას აქტიური სწავლების მიზანიც განსაზღვრავს. ნაცვლად იმისა, რომ თავად ესაუბროთ სავარჯიშოს მიზნებსა და შედეგებზე, სტუდენტებს შეეკითხეთ და სავარჯიშოს შეჯამების ეტაპზეც აქტიური სწავლების მეთოდი გამოიყენეთ. დროის რესურსის გათვალისწინებით ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც ჯგუფური მუშაობის და ზეპირი შეჯამების ფორმით (მეტი დროის შემთხვევაში), ისე ინდივიდუალური შეფასების ფორმით (ნაკლები დროის შემთხვევაში). მაგალითად: სთხოვეთ ჩამოწერონ სამი რამ, რაც ისწავლეს კონკრეტული საკლასო მუშაობის შედეგად.
- 7) დაუთმეთ დრო თვითშეფასებას. ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა თქვენი წარმატებისთვის. საკლასო მუშაობის დაწყებამდე, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია თქვენი ახალი სავარჯიშოები გამოიყენოთ თქვენი სტუდენტების ასაკის ახალგაზრდებთან. კონტექსტუალური კავშირების (ცოდნის დაშენების) თვალსაზრისით ძალიან ღირებულია იმავე ასაკის არაიურისტებთან მსგავსი სავარჯიშოების გამოყენება. ისინი ღირებულ მინიშნებებს მოგცემენ, რაც იურიდიული კონცეფციების მარტივად ახსნაში დაგეხმარებათ. საკლასო მუშაობის შემდეგ გამოყავით დრო ჩატარებული ლექციის შესაფასებლად. შეაფასეთ თქვენი როლი, გამოყენებული სავარჯიშოები, სტუდენტების მონაწილეობა. იფიქრეთ იმაზე, რა წაიღეს სტუდენტებმა ამ კონკრეტული საკლასო მუშაობიდან ცოდნის ნაწილში, პროფესიული უნარებისა და ღირებულებების ნაწილში. გააანალიზეთ, რა იყო და რამდენად

შესრულდა თქვენი მიზნები. რატომ ვერ შესრულდა გარკვეული მიზნები. რა უნდა გააკეთოთ, რომ მომავალში შესრულდეს. გააკეთეთ მოკლე ჩანაწერები, აწარმოეთ დღიური. კონკრეტული პრობლემების დასაძლევად შემუშავებული რეკომენდაციები განაზოგადეთ მთელი სასწავლო ციკლისთვის. გაუზიარეთ გამოცდილება თქვენს კოლეგებს. გაეცით და მიიღეთ ცოდნა სწავლების შესახებ. ასწავლეთ და ისწავლეთ.

მაგალითების რუქა - შედარება

| სწავლების ინტერაქტიული მეთოდები | აქტიური სწავლის მეთოდები ³ |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> - მოიცავს დიალოგს სხვათა აზრის გათვალისწინებით; - სტუდენტებთან სალექციო მასალის განხილვა ხორციელდება კითხვა-პასუხის ფორმატში; | <ul style="list-style-type: none"> - მოიცავს ფიზიკურ აქტივობას/კეთებას; - არსებული ცოდნის გააქტიურებას/ცოდნის დაშენებას და ასიმილირებას; |

სოკრატისეული მეთოდი

საკითხის კლასში განხილვა წაკითხული მასალის საფუძველზე: ლექტორი სვამს პრობლემურ და არაინფორმაციულ შეკითხვებს და სთხოვს სტუდენტებს თავად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე.

თანმიმდევრობის რეკონსტრუქცია

ლექტორი უზრუნველყოფს ჯგუფს კითხვებით, ჩაშლილი ნაბიჯებით (მაგ. საპროცესო მოქმედებების) და შესაბამისი წესებით და სთხოვს ჯგუფს თანმიმდევრობის რეკონსტრუქციას

გონებრივი იერიში (ე.წ. brainstorming)

ლექტორი წარმოადგენს თემას ან პრობლემას და შემდეგ სთხოვს სტუდენტებს განსხვავებული აზრის გამოხატვას - პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

შეცდომის იდენტიფიკაცია

ლექტორი უზრუნველყოფს ჯგუფს კითხვებით, მტკიცებულებებით, წესებით ან/და სხვა მასალებით, რომლებიც შეიცავს შეცდომებს. სტუდენტებმა უნდა იპოვონ და გაასწორონ შეცდომები.

საქმის განხილვა (ე.წ. Case-Study)

პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს/სვამს კითხვებს კონკრეტული საქმის ირგვლივ

კონცეფციის რუქა (ე.წ. concept map)

ლექტორი უზრუნველყოფს ჯგუფს პირობებით, ცნებებით და განმარტებებით. სტუდენტებმა უნდა იპოვონ ურთიერთმიმართება ცნებებსა და

³ მოცემული მაგალითების საფუძველზე აქტიური სწავლის მეთოდი თავის თავში მოიცავს თანამშრომლობით/კოლაბორაციულ სწავლებას;

განმარტებებს შორის.

როლური თამაში/სიმულაცია

ლექტორი უზრუნველყოფს ჯგუფს იმიტირებული საქმით, საკითხებით და მასალებით კონკრეტული პრობლემის/ების გადაჭრის მიზნით. სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ცოდნა და უნარები მათთვის მომგებიანი გამოსავლის მოძებნის მიზნით.

კვლევითი სწავლების პროცესი (ე.წ. Inquiry Learning)

ლექტორი წარმოადგენს ძირითად კონცეფციას და სთხოვს სტუდენტების ჯგუფს, რათა მათ შეისწავლონ ჰიპოთეზა და დასკვნები.

კლინიკური სწავლება

კეთებით სწავლება რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით

იხილეთ სავარჯიშოები #1, 2, 3, 4 & 5.

შეფასება

შეფასება სწავლების და სწავლის განუყოფელი ნაწილია. შეფასების მეშვეობით ხდება იმის ანალიზი გავიდა თუ არა ლექტორი სასურველ შედეგზე. შესაბამისად, ლექტორის მიერ განისაზღვრება შეფასების მეთოდები და ფორმები, რომელიც უნდა იყოს ცხადი/ნათელი, მიესადაგებოდეს დასახულ მიზანს და იძლეოდეს დასახული მიზნის გაზომვის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ფარგლებში სასურველია ლექტორის მიერ მოხდეს *განმავითარებელი* და *განმსაზღვრელი* შეფასების გამოყენება:

განმავითარებელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შემეცნების პერიოდული შემოწმება კონკრეტული საჭიროებების/გამოწვევების დროულად გამოვლინების და ლექტორის მხრიდან შესაბამისი რეაგირების/უკუგების მიზნით. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების შედეგად, ერთის მხრივ ლექტორი იგებს სტუდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის (ცოდნის და უნარების) აღქმის ფარგლებს და მეორეს მხრივ დროულად უთითებს სტუდენტს გამოსწორების შესაძლო გზებს. განმავითარებელი შეფასებისას როგორც წესი ქულა არ იწერება და ლექტორის მიერ ტარდება რამოდენიმეჯერ მთელი კურსის მანძილზე. განმავითარებელი შეფასების ფორმებია სწრაფი გამოკითხვა, შეკითხვა ან შეჯამება (ლექციის ბოლოს ლექტორი სთხოვს სტუდენტებს ერთ წუთში წერილობით გასცენ პასუხი მის დასმულ შეკითხვას ან განსაზღვრონ ლექციის მსვლელობისას დაფარული საკითხის არსი და მნიშვნელობა), თანატოლების მიერ განხილვა/შეფასება, წერილობითი ნაშრომის პირველადი ვერსიის კომენტირება და ა.შ. განმავითარებელი შეფასებისას გადამწყვეტია ლექტორის მხრიდან დაკვირვება და დროული უკუგება.

განმსაზღვრელი შეფასებისას სტუდენტს ეწერება ნიშანი და როგორც წესი ტარდება კურსის მიწურულს. ამ მხრივ, სასურველია განმსაზღვრელი შეფასება დაიყოს რამოდენიმე ეტაპად მთელი კურსის მანძილზე, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში ეტაპობრივად გამოასწოროს დაბალი შეფასება/ნიშანი. პირობითად, შუალედური და საბოლოო გამოცდის გარდა, დაემატოს შეფასების 2-3 დამატებითი კომპონენტი: 10% კლასში აქტიურობა, 10% მოდელირება, 10% კაზუსის ამოხსნა, 25% შუალედური გამოცდა, 10% წერილობითი მემოს დაწერა, 35% ფინალური გამოცდა. ლექტორმა შესაძლოა ერთი და იგივე ფორმა გამოიყენოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას, რაც დამოკიდებულია კურსის შინაარსზე, სწავლების მიზნებზე, სტუდენტების რაოდენობაზე და ა.შ. რეკომენდირებულია რომ ლექტორმა იხელმძღვანელოს სხვადასხვა შეფასების ფორმებით, რაც ითვალისწინებს სტუდენტების მულტიმოდალური შემეცნების ფაქტს.

პრაქტიკაში დამკვიდრებული ზეპირი შეფასების ფორმებია გამოკითხვა, როლური თამაში, მოდელირება, სიმულაცია, იმიტირებული პროცესი, კლინიკაში კონსულტაციის გაწევა, და ა.შ. წერილობითი შეფასების ფორმებია ტესტი, ღია შეკითხვა, კაზუსის ამოხსნა, სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, ხელშეკრულების პროექტირება და ა.შ.

ეფექტიანი შეფასების სისტემის დანერგვა დამოკიდებულია სწორ დაგეგმარებასთან, რაც თავის მხრივ შედგება სამი საფეხურისგან:

1. სასწავლო მიზნების სწორი განსაზღვრა - რისი შეფასება სურს ლექტორს;
2. შეფასების ინსტრუმენტის/ფორმის მომზადება და გამოყენება;
3. სტუდენტებთან უკუგება მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;⁴

⁴ Schwartz/Sparrow/Hess, Teaching Law bu Design – Engaging Students from the Syllabus to the Final Exam. Pp. 138-141;

სასწავლო მიზნები - სასურველია ლექტორმა სილაბუსის მომზადების ეტაპზევე ჩამოაყალიბოს კურსის და კონკრეტული ლექციის სასწავლო მიზნები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ცოდნის ან უნარების ან ორივე მათგანის განვითარებას.

როგორც წესი, შეფასების კონკრეტული **ინსტრუმენტის/ფორმის შერჩევა** და დიზაინი დამოკიდებულია სასწავლო მიზნებზე. ამასთანავე, დაგეგმარების ეტაპზე მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ დასახული დავალების შესაბამისი დროის და უკუგების ფორმატის გათვალისწინება, აგრეთვე, სტუდენტის მიერ გამოსაყენებელი სტილის ან წერის სტანდარტის მითითება. შესაბამისად, დავალება უნდა იყოს სტუდენტისთვის ცხადი და ადეკვატური. ლექტორის მიერ შეფასების ანალიზის შემდგომი ეტაპია ლექტორის მხრიდან სტუდენტის მიმართ **უკუგება**, რომელიც უნდა იყოს მიზანმიმართული, პოზიტიური, მაკორექტირებელი და დროული. კერძოდ, ლექტორის კომენტარი უნდა იყოს ფოკუსირებული იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც ვერ იქნა ამოხსნილი და სტუდენტს მიეცეს გარკვეული რეკომენდაცია, თუ როგორ გააუმჯობესოს თავისი შესაძლებლობები. პარალელურად, ლექტორმა უნდა წარმოაჩინოს სტუდენტის მიერ გაცემული სწორი პასუხებიც, რაც ეხმარება სტუდენტს უკეთ შეიმეცნოს უკუგების დროს მიცემული რეკომენდაციები. უკუგებას აზრი აქვს, სანამ საკითხი “ცხელია” და გავლენას იქონიებს მოახლოებულ განმსაზღვრელ შეფასებაზე.

უკუგება შეიძლება როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით. როგორც წესი, კლასში მიცემული ზეპირი უკუგება არის ზოგადი ხასიათის და ლექტორი მიანიშნებს ტენდენციურ გამოწვევებზე. ის უმეტესად განმავითარებელი შეფასების ნაწილია. წერილობითი შეფასება კი გამოიყენება ინდივიდუალური შეფასებისას, როდესაც არსებობს შეფასების კრიტერიუმები და ცოდნის/უნარის ხარისხის განმმარტავი შეფასების რუბრიკა ან ქულების წონის სახელმძღვანელო. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრავი შეფასებისას.

საილუსტრაციოდ დანართის სახით არის მოცემული შეფასების ისეთი ფორმები, როგორც არის მრავალპასუხიანი შეკითხვები (ტესტირება), ესეის გამოყენება და სიმულაცია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინსტრუმენტის დიზაინი დამოკიდებული იქნება სასწავლო მიზნებზე და შესაძლებელია მოიცავდეს პრეზენტაციას, სამართლებრივი მემოს მომზადებას, კაზუსის ამოხსნას და ა.შ.

იხილეთ სავარჯიშოები #6, 7 & 8.

დასკვნა

როგორც ვხედავთ კრებულში განხილული ეფექტიანი სწავლების მეთოდების შემადგენელი ოთხი ელემენტის (მეტაკოგნიცია და მულტიმოდალური პრეზენტაცია, კონტექსტუალური კავშირები, აქტიური სწავლა და შეფასება) შემეცნება და პრაქტიკაში დანერგვა მნიშვნელოვანია სტუდენტების განსხვავებული აღქმის, ანალიზისა და ათვისების უნარის, ობიექტური შეფასების და დამოუკიდებელი შემსწავლელის ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, კრებულის

ბოლოს მოცემულია ოთხივე კომპონენტის შესატყვისი სავარჯიშოები, რომლებიც განხილულ იქნა სამართლის სწავლების სადოქტორო კურსის ლექტორებთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში.

დანართი

სავარჯიშო 1

აშშ-ს ფედერალურ სისტემაში განაცხადის გაკეთების სწავლება ოთხი პედაგოგიური ტექნიკის გამოყენებით

დოკუმენტი #1 შედგება სამოქალაქო პროცესის 7-12 ფედერალური წესებისგან. ეს წესები განსაზღვრავს განაცხადის გაკეთების სტრუქტურას აშშ-ს ფედერალურ სასამართლო სისტემაში. ტრადიციულად სტუდენტებს ჯერ სთხოვენ წაიკითხონ წესები და შემდეგ უტარებენ ლექციას ამ წესების შესახებ. თუმცა ჩვეულებრივ სტუდენტები ამგვარად ვერც წესებს სწავლობენ და ვერც განაცხადის დოკუმენტების შედგენისას იყენებენ მათ.

დოკუმენტი #2 აქტიური სწავლის სავარჯიშოა, რომელიც ამ წესების სასწავლებლად გამოიყენება ზემოთგანსაზღვრული 4 პედაგოგიური ცნების მეშვეობით.

სავარჯიშოს აღწერა:

1. სტუდენტებს ურიგებენ აქტიური სწავლის სავარჯიშოს და წესებს
2. აქტიური სწავლის სავარჯიშოში წარმოდგენილია წესების თანახმად შედგენილი განაცხადი.
3. განაცხადის დოკუმენტში წარმოდგენილია უჯრები კონკრეტული ტექსტებით, რომლებიც წესების სხვადასხვა კომპონენტს განსაზღვრავს და განაცხადშია მოცემული.
4. მთლიან ჯგუფს ყოფენ 3 ან 4 კაციან ჯგუფებად და სთხოვენ შეავსონ დოკუმენტი ისე, რომ იპოვონ ტექსტის შესაბამისი წესი უჯრაში.
5. ამგვარად სტუდენტებს უხდებთ წესების წაკითხვა და ასევე იმ კონტექსტის გაცნობა რომელიც განმარტავს თუ რას ნიშნავს ესა თუ ის წესი და თუ როგორ გამოიყენება ის განაცხადის დოკუმენტში.
6. სავარჯიშოს ბოლოს ყველა ჯგუფმა უნდა შეავსოს ცხრილი რათა მიიღონ იმის მსგავსი დოკუმენტი რომელიც აქ #3 დოკუმენტადაა თანდართული.

სავარჯიშოს პედაგოგიური ასპექტები

1. აქტიური სწავლა

სტუდენტებმა 15 წუთში დამოუკიდებლად უნდა შეავსონ მიცემული სავარჯიშო. ამ დროს ლექტორის მხრიდან კომუნიკაცია მინიმალურია და ლექტორი უფრო “გვერდიდან” იძლევა მითითებებს, ვიდრე “სცენიდან”.

2. მეტაკოგნიცია და მულტიმოდალური პრეზენტაცია:

სტუდენტები ჯგუფებში თანამშრომლობენ რათა ხელი შეუწყონ კოლაბორაციულ შესწავლას, წყვეტენ პრობლემებს იმასთან დაკავშირებით თუ რომელი წესი უნდა გამოიყენონ რათა ხელი შეუწყონ გამოცდილებით სწავლას და ბოლოს თანამშრომლობენ რათა განიხილონ თუ რომელია სწორი პასუხი, რატომ არის ეს პასუხი სწორი და ხელს უწყობენ კოლაბორაციულ შესწავლას.

3. ცოდნის დაშენება

ამ სავარჯიშოს მეშვეობით სტუდენტები იწყებენ განაცხადის გაკეთების სხვადასხვა ასპექტების გაგებას და საკუთარი კონტექსტის შექმნას. მაგალითად, შეუძლიათ დაუმატონ “მეათე წესის მოთხოვნა” უკვე არსებულ ცოდნას. მათ ესმით “მეათე წესის ცალკე გამოყოფილი დანომრილი პუნქტი განაცხადის გაკეთების მოთხოვნასთან დაკავშირებით”, როგორც მათი უკვე არსებული ცოდნის გაგრძელება დავალებათა ჩამონათვალის შესახებ რომელიც წარსულში შეასრულეს, როგორებიცაა მაგალითად, საყიდლების ჩამონათვალის ჩამოწერა, ანდა გასაკეთებელი აქტივობების ჩამონათვალი რომელშიც ცალ-ცალკეა დანომრილი გასაკეთებელი აქტივობები.

დოკუმენტი 1: სამოქალაქო საპროცესო ფედერალური წესები

წესი 7

მოსარჩელისა და მოპასუხის სარჩელები;

შუამდგომლობის ფორმები და სხვა დოკუმენტები

(ა) მოსარჩელისა და მოპასუხის/მხარეთა სარჩელები (Pleadings). დასაშვებია მხოლოდ შემდეგი სახის სარჩელების შეტანა:

- (1) საჩივარი;
- (2) პასუხი საჩივარზე;
- (3) პასუხი შეგებებულ სარჩელზე, აღნიშნული როგორც შეგებებული სარჩელი;
- (4) პასუხი ჯვარედინ სარჩელზე;
- (5) მესამე მხარის საჩივარი;
- (6) პასუხი მესამე მხარის საჩივარზე; და
- (7) სასამართლოს განკარგულების შემთხვევაში, პასუხი მოპასუხის შეგებებულ სარჩელზე.

(ბ) შუამდგომლობები და სხვა დოკუმენტები.

- (1) **ზოგადად.** თხოვნა/განაცხადი სასამართლოს დადგენილებისთვის წარდგენილ უნდა იქნეს შუამდგომლობის სახით. შუამდგომლობა(ში)
 - (ა) უნდა იყოს წერილობითი ფორმის, თუ იგი არ იქნა წამოყენებული საქმის მოსმენისას ან სასამართლო პროცესზე;
 - (ბ) დეტალურად უნდა იყოს დასაბუთებული აღნიშნულის მოთხოვნის საფუძველი; და
 - (გ) აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნები.

- (2) **ფორმა.** აღნიშნულ მხარეთა სარჩელებში სათაურებისა და მის ფორმასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მარეგულირებელი წესები გამოიყენება შუამდგომლობებსა და სხვა დოკუმენტებთან მიმართებაშიც.

წესი 8

მოსარჩელისა და მოპასუხის სარჩელების ზოგადი წესები

(ა) **გადახდის თანხის შემცირების მოთხოვნა.** ასეთი მოთხოვნის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- (1) მოკლე და მარტივი ფორმულირება იმ საფუძვლებისა, რაც განსაზღვრავს სასამართლოს იურისდიქციას განიხილოს ეს საქმე, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს უკვე არ გააჩნია შესაბამისი იურისდიქცია და აღარ არის საჭირო ახალი არგუმენტების მითითება;
- (2) მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბებული სასარჩელო განცხადება, რომელიც ასახავს მოთხოვნის წარმდგენის უფლებას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; და
- (3) სასარჩელო მოთხოვნა, სადაც შესაძლოა აღნიშნული იყოს მოთხოვნის დაკმაყოფილების ალტერნატიული ან სხვა სახეები.

(ბ) **მოპასუხის არგუმენტაცია; აღიარება და უარყოფა.**

- (1) **ზოგადად.** მოსარჩელის განცხადებაზე საპასუხოდ, მხარემ:
 - (ა) მოკლედ და გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს არგუმენტაცია მის წინააღმდეგ წაყენებული თითოეული პრეტენზიის საპასუხოდ; და
 - (ბ) აღიაროს ან უარყოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები/მტკიცებები.

(2) **უარყოფა - პასუხი განცხადების შინაარსზე.** წაყენებული ბრალდების უარყოფისთვის, მის შინაარსზე სამართლიანად უნდა იქნეს გაცემული პასუხი.

(3) **სარჩელის საფუძვლის უარყოფა და კონკრეტული ფაქტის უარყოფა.** მხარე, რომელიც აპირებს სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული ყველა მტკიცების/ბრალდების კეთილსინდისიერად უარყოფას (მათ შორის იურისდიქციული თვალსაზრისითაც), ამის გაკეთება შეუძლია ზოგადად სარჩელის საფუძვლის უარყოფით. მხარე, რომელიც არ აპირებს ყველა მტკიცების/ბრალდების უარყოფას, მან ან კონკრეტულად უნდა უარყოს გარკვეული ბრალდებები ან ზოგადად უარყოს ყველაფერი კონკრეტულად აღიარებულის გარდა.

(4) **მტკიცების ნაწილობრივი უარყოფა.** მხარე, რომელიც აპირებს კეთილსინდისიერად უარყოს მტკიცების მხოლოდ ნაწილი, მან უნდა აღიაროს ის ნაწილი, რომელიც სიმართლეს შეესაბამება და დანარჩენი შესაბამისად უარყოს.

(5) **არცოდნა ან ინფორმაციის ნაკლებობა.** მხარეს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა ან ინფორმაცია ბრალდებებთან დაკავშირებით სიმართლის მტკიცების, უნდა განაცხადოს ამის შესახებ და ამგავრი განცხადება ჩაითვლება, როგორც მათი უარყოფა.

(6) *არაუარყოფის შედეგი*. მტკიცება, ზიანის თანხასთან დაკავშირებულის გარდა, აღიარებულად ითვლება თუ აუცილებელია საპასუხო განცხადება და არ ხდება მტკიცების უარყოფა. თუ საპასუხო განცხადება არ არის საჭირო, მტკიცება განიხილება უარყოფილად ან მასზე პასუხის გაცემიდან თავის არიდებად.

(გ) **განცხადება ფაქტების შესახებ, რომელიც უარყოფს სარჩელს ან ბრალდებას.**

(1) *ზოგადად*. სარჩელის პასუხად, მხარემ მტკიცედ უნდა ჩამოაყალიბოს სარჩელის/ბრალდების უარყოფის ფაქტები, მათ შორის:

- შესრულების შეცვლის შეთანხმება;
- არბიტრაჟი და გადაწყვეტილება;
- რისკის მიღება;
- შემხვედრი ბრალი/დაზარალებულის დაუდევრობა;
- იძულება;
- საპროცესო აცილება;
- შემხვედრი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა;
- თაღლითობა;
- უკანონობა;
- თანამშრომლის მიერ მიყენებული ზიანი;
- ვადის გადაცილება;
- ლიცენზია;
- გადახდა/ანაზღაურება;
- ვალდებულებებისგან განთავისუფლება;
- ერთხელ გადაწყვეტილი საქმის განმეორებითი განხილვის დაუშვებლობის პრინციპი;
- კანონი თაღლითობის შესახებ;
- კანონი ხანდაზმულობის ვადების შესახებ; და
- უფლებაზე უარის თქმა.

(2) *შეცდომითი/მცდარი მითითება*. თუ მხარე შეგებებული სარჩელის სახით შეცდომით მიუთითებს კონტრარგუმენტაციას, ან შეგებებულ სარჩელს დაცვის სახით, სამართლიანობიდან გამომდინარე, სასამართლომ განცხადება უნდა განიხილოს ჩვეულებისამებრ, და ამისთვის, შესაძლოა შესაბამისი პირობებიც დაადგინოს.

(დ) **მხარეთა სარჩელები უნდა იყოს მოკლე და გასაგები; ალტერნატიული განცხადებები; არათანმიმდევრობა/შეუსაბამობა.**

(1) *ზოგადად*. თითოეული ბრალდება უნდა იყოს მარტივი, მოკლე და ადვილად გასაგები. არ არის საჭირო არანაირი სპეციალური ფორმა.

(2) *ალტერნატიული სასარჩელო განცხადებები ან საპასუხო განცხადებები/არგუმენტაციები*. მხარეს შეუძლია სასამართლოს წარუდგინოს 2 ან მეტი სასარჩელო მოთხოვნა ან საპასუხო განცხადება/მტკიცება ალტერნატიულად ან ჰიპოთეტურად, ერთად ან ცალ-ცალკე.

(3) *არათანმიმდევრული სარჩელები ან სარჩელზე საპასუხო არგუმენტაციები*. მხარეს შეუძლია წარადგინოს იმდენი ცალკეული სარჩელი თუ საპასუხო არგუმენტაცია, რამდენიც მას სურს, მიუხედავად მათი სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისობისა.

(ე) გასაგებად ჩამოყალიბებული სარჩელები. სარჩელი ისე უნდა იყოს განმარტებული, რომ შესაძლებელი იყოს მასზე სამართლის აღსრულება.

წესი 9

მხარეთა სარჩელებთან დაკავშირებული განსაკუთრებული საკითხები

(ა) სარჩელის აღძვრის ქმედუნარიანობა ან უფლებამოსილება; სამართალსუბიექტურობა.

(1) **ზოგადად.** სარჩელში არ არის საჭირო შემდეგი სახის ინფორმაციის მოყვანა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ მითითება:

(ა) მხარის ქმედუნარიანობა სარჩელის შეტანაზე ან მასზე საქმის აღძვრაზე;

(ბ) მხარის უფლებამოსილება სარჩელის შეტანაზე ან მასზე საქმის აღძვრაზე წარმომადგენლობითი ფუნქციით; ან

(გ) პირთა ორგანიზებული გაერთიანების, როგორც მხარის, სამართალსუბიექტურობა.

(2) **ამ საკითხების წამოჭრა.** ამ საკითხთაგან რომელიმეს წამოჭრისას, მხარემ ის კონკრეტული ფაქტით უნდა უარყოს, სადაც ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნებისმიერი სახის დამამტკიცებელი ფაქტები, რაც პირადად მხარისთვის არის ცნობილი.

(ბ) **ტყუილი ან შეცდომა; გონებრივი მდგომარეობა.** მხარემ, ტყუილში ან შეცდომაში დადანაშაულების მტკიცების დროს, დეტალურად უნდა წარმოადგინოს ამგვარი ტყუილის ან შეცდომის შემცველი გარემოებები. შესაძლებელია ზოგადი სახის მტკიცება/განცხადება ბოროტი განზრახვის, მიზნის/განზრახვის, ინფორმირებულობისა და პიროვნების სხვა გონებრივი მდგომარეობების შესახებ.

(გ) **წინასწარი პირობები.** წინასწარ პირობებთან მიმართებაში, საკმარისია ზოგადად განცხადებულ იქნეს, რომ ყველა წინასწარი პირობა შესრულებულ იქნა. მაგრამ აღნიშნულის უარყოფის შემთხვევაში, მხარემ ეს კონკრეტულად უნდა დაამტკიცოს.

(დ) **ოფიციალური დოკუმენტი ან აქტი.** ოფიციალურ დოკუმენტთან ან აქტთან დაკავშირებით, საკმარისია იმის განცხადება, რომ დოკუმენტი კანონიერად იქნა გაცემული ან აქტი შესრულებულ იქნა კანონის შესაბამისად.

(ე) **გადაწყვეტილება.** ნაციონალური ან უცხოური სასამართლოს, სასამართლო ან კვაზი-სასამართლო ორგანოს, კოლეგიის ან მოხელის განაჩენთან ან გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სარჩელში აღნიშვნისას, საკმარისია ამ გადაწყვეტილებისა თუ განაჩენის მითითება, ამ ორგანოს უფლებამოსილების აღნიშვნის გარეშე.

(ვ) **დრო და ადგილი.** დროისა და ადგილის შესახებ მტკიცება არსებითია, მოსარჩელის/მოპასუხის განცხადების საფუძვლიანობის შემოწმებისას.

(ზ) **რეალური ზარალი.** გარკვეული საგნის რეალურ ზიანზე პრეტენზიის განცხადებისას, ის კონკრეტულად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული.

(თ) **საადმირალო ან საზღვაო სარჩელი.**

- (1) **როგორ ხდება განსაზღვრა.** თუ გადახდის თანხის შემცირების მოთხოვნა საადმირალო ან საზღვაო საკითხებთან დაკავშირებული იურისდიქციის ფარგლებშია და ასევე, სასამართლოს საგნობრივი განსჯადობის ფარგლებშიც სხვა საკითხის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნა, სასარჩელო განცხადებით შეიძლება განისაზღვროს როგორც საადმირალო ან საზღვაო სარჩელი, მე-14 (გ), 38 (ე)-ე და 82-ე წესებისა და საადმირალო და საზღვაო სარჩელებისა და აქტივების კონფისკაციის ქმედებების დამატებითი წესების მიზნებისათვის. სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც განსჯადია მხოლოდ საადმირალო ან საზღვაო იურისდიქციის ფარგლებში, წარმოადგენს საადმირალო ან საზღვაო სარჩელს ამ მიზნებისათვის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს აღნიშნული სასარჩელო განცხადებაში.
- (2) **მითითება გასაჩივრებისთვის.** საქმე, რომელიც საადმირალო ან საზღვაო საკითხებთან დაკავშირებულ მოთხოვნას მოიცავს, ზემოაღნიშნული (თ) ქვეპუნქტის ფარგლებში, წარმოადგენს საზღვაო ან საადმირალო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეს აშშ კოდექსის 28-ე ნაწილის 1292(ა)(3) მუხლის ფარგლებში.

წესი 10

მოსარჩელისა და მოპასუხის სარჩელების ფორმა

(ა) **სათაური; მხარეთა სახელები.** ყველა სარჩელში სათაურის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოს დასახელება, სახელწოდება, საქმის/სარეგისტრაციო ნომერი და მისი დანიშნულება, 7(ა) წესის თანახმად. საჩივრის დასაწყისში დასახელებული უნდა იყოს ყველა მხარე; სხვა სარჩელების სათაური, თითოეული მხრიდან პირველი მხარის დასახელების შემდეგ, იგი ზოგადად სხვა მხარეებსაც შეიძლება ეხებოდეს.

(ბ) **პუნქტები; ცალკეული განცხადებები.** მხარემ თავისი სასარჩელო მოთხოვნები ან საპასუხო არგუმენტაცია უნდა ჩამოაყალიბოს დანომრილ პუნქტებად, ისე რომ თითოეულში შეძლებისდაგვრად იყოს წარმოდგენილი გარემოებათა ერთობლიობა. შემდგომ სარჩელში წინა სარჩელის კონკრეტულ პუნქტზე მითითება შეიძლება მოხდეს მისი შესაბამისი ნომრით. თუ, ამგვარი რამ უფრო მეტ სიცხადეს შეუწყობს ხელს, მაშინ ცალკეულ საქმესა თუ მოვლენასთან დაკავშირებული თითოეული სასარჩელო მოთხოვნა - და თითოეული მოპასუხის არგუმენტაცია, უარყოფის გარდა - ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს ცალკე პუნქტად/ეპიზოდად ან არგუმენტაციად შესაბამისად.

(გ) **დოკუმენტის ჩართვა შესაბამისი მითითების გაკეთებით; დამამტკიცებელი დოკუმენტი.** სარჩელში არსებული ფორმულირება/მტკიცება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მითითების გაკეთებით იმავე სარჩელში სხვაგანაც ან სხვა სარჩელში ან შუამდგომლობაში. წერილობითი დოკუმენტის ასლი, რომელიც სარჩელში მტკიცებულების სახითაა წარდგენილი, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს ამ სარჩელის ნაწილს.

წესი 11

მხარეთა სარჩელების, შუამდგომლობებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა;

მტკიცებულების წარდგენა სასამართლოში; სანქციები

(ა) **ხელმოწერა.** მხარეთა ყველა სარჩელი, წერილობითი შუამდგომლობა და სხვა სახის დოკუმენტები ხელმოწერილი უნდა იყოს სულ მცირე ერთი რეგისტრირებული ადვოკატის მიერ, ან პირადად მხარის მიერ, თუ მხარე არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ. დოკუმენტში აღნიშნული უნდა იყოს ხელმომწერის მისამართი, ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი. თუ კანონით ან წესით კონკრეტულად სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, განცხადება არ საჭიროებს აფიდევიტით დამოწმებას ან მის თანდართვას. სასამართლომ უნდა ამოიღოს საქმიდან ხელმოუწერელი დოკუმენტი, თუ დაუყონებლივ არ მოხდება ხარვეზის გამოსწორება ადვოკატისთვის ან მხარისთვის აღნიშნულის შესახებ ცნობების შემდეგ.

(ბ) **მტკიცებების წარდგენა სასამართლოში.** სასამართლოში სარჩელის, წერილობითი შუამდგომლობის ან სხვა დოკუმენტების წარდგენით, ადვოკატი ან მხარე (როდესაც მას არ წარმოადგენს ადვოკატი) შესაბამისი დასაბუთებული გარემოებებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადასტურებენ, რომ:

- (1) დოკუმენტის წარდგენა არ ხდება ისეთი ცუდი განზრახვით, როგორცაა შეწუხება/დაშინება, უსაფუძვლო დაბრკოლების შექმნა ან სასამართლო ხარჯების გაზრდა;
- (2) სასარჩელო მოთხოვნებს, მოპასუხის არგუმენტაციებსა და სხვა სახის სამართლებრივ მტკიცებებს საფუძვლად უდევს მოქმედი კანონი ან დასაბუთებული არგუმენტაცია, არსებული კანონის შეცვლასთან, გაუქმებასთან ან ახალი კანონის შექმნასთან მიმართებაში;
- (3) ფაქტობრივ სადაო საკითხებს აქვს დასაბუთებული მტკიცებულებები ან, თუ კონკრეტულად განსაზღვრულია, სავარაუდოდ ექნებათ დასაბუთებული მტკიცებულებები შემდგომი გამოძიების ან მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისთვის გონივრული შესაძლებლობის მიცემის შემდეგ; და
- (4) ფაქტობრივი სადაო საკითხების უარყოფა ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებას ან, თუ კონკრეტულად ასეა განსაზღვრული, მის საფუძველს დასაბუთებულად წარმოადგენს შესაბამისი შეხედულება ან ინფორმაციის ნაკლებობა.

(გ) **სანქციები.**

- (1) **ზოგადად.** შესაბამისი გაფრთხილებისა და პასუხის გასაცემად გონივრული შესაძლებლობის მიცემის შემდეგ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ დარღვეულ იქნა წესი 11 (ბ), მას შეუძლია დაუწესოს შესაბამისი სანქცია ნებისმიერ ადვოკატს, იურიდიულ კომპანიას ან მხარეს, რომელთაც დაარღვიეს ეს წესი ან პასუხისმგებელი არიან დარღვევაზე. განსაკუთრებული გარემოებების არარსებობის დროს, იურიდიული კომპანია ერთობლივად პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი პარტნიორის, წევრის ან თანამშრომლის მიერ ჩადენილ დარღვევაზე.
- (2) **შუამდგომლობა სანქციებზე.** შუამდგომლობა სანქციების დაწესებაზე უნდა გაკეთდეს სხვა შუამდგომლობებისგან დამოუკიდებლად, ცალკე და მასში აღწერილი უნდა იყოს კონკრეტული ქმედება, რომლითაც მტკიცების თანახმად ირღვევა წესი 11(ბ). შუამდგომლობის წარდგენა უნდა მოხდეს წესი 5 შესაბამისად, მაგრამ ის არ უნდა იქნეს შეტანილი ან წარდგენილი სასამართლოში, თუ სადავო დოკუმენტი, სარჩელი, საპასუხო არგუმენტაცია, მტკიცება ან უარყოფა/გაპროტესტება გატანილ იქნება ან შესაბამისი სახით

მოხდება მისი შესწორება 21 დღის განმავლობაში ან იმ დროში, რომელსაც სასამართლო დაადგენს. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საქმის მომგებ მხარეს დაუწესოს შუამდგომლობისთვის გაწეული რეალური ხარჯების ანაზღაურება, ადვოკატის მომსახურების ხარჯების ჩათვლით.

(3) სასამართლოს ინიციატივით. სასამართლოს, თავისი ინიციატივით, შეუძლია მოსთხოვოს ადვოკატს, იურიდიულ ფირმას ან მხარეს დაასაბუთონ, რომ ბრძანებაში აღწერილი კონკრეტული ქმედებით არ დარღვეულა წესი 11(ბ).

(4) სანქციის არსი. ამ წესის თანახმად დაწესებული სანქცია შემოიფარგლება იმით, რაც საკმარისია ამ ქმედების ან ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ პირთა მიერ მსგავსი ქმედების განმეორების თავიდან ასაცილებლად. სანქცია შესაძლოა ითვალისწინებდეს: არაფულადი სახის დირექტივებს; სასამართლოში ჯარიმის გადახდის ბრძანებას; ან დარღვევიდან გამომდინარე, შუამდგომლობის განმცხადებელი პირისთვის ადვოკატისა და სხვა სათანადო ხარჯების ნაწილის ან მთლიანად გადახდის ბრძანებას.

(5) შეზღუდვები ფულად სანქციებზე. სასამართლომ არ უნდა დააწესოს ფულადი სანქცია:

(ა) ადვოკატით წარმოდგენილი მხარის წინააღმდეგ 11(ბ)(2) წესის დარღვევისთვის; ან

(ბ) თავისი ინიციატივით, თუ მას არ აქვს გამოცემული ბრძანება დასაბუთების წარდგენის შესახებ 11(გ)(3) წესის თანახმად, მხარის (რომელზეც ან რომლის ადვოკატებზეც ხდება სანქციის დაწესება) მიერ ან მის წინააღმდეგ მოთხოვნების ნებაყოფლობით უარყოფამდე ან მათ მოგვარებამდე.

(6) ბრძანების გაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნები. სანქციის დაწესებასთან დაკავშირებულ ბრძანებაში აღწერილი უნდა იყოს ის ქმედება, რომელზეც დაწესებულ იქნა სანქცია და განმარტებული უნდა იქნეს ამ სანქციის საფუძველი.

(დ) დოკუმენტების გამჟღავნების გამოუყენებლობა. ეს წესი არ გამოიყენება ინფორმაციის გამხელისა და დოკუმენტების წარდგენის/გამჟღავნების მოთხოვნებთან, პასუხებთან, შედავებებთან და შუამდგომლობებთან მიმართებაში 26-37 წესების შესაბამისად.

დოკუმენტი 2: აქტიური სწავლისთვის განკუთვნილი სავარჯიშო სამოქალაქო საპროცესო ფედერალური წესების სწავლებისთვის

რომელი წესი (წესები) ითვალისწინებს საჩივარში, ჩარჩოში ჩასმულ პარაგრაფებს და რატომ ფიქრობთ, რომ ეს წესი განსაზღვრავს საჩივრის ამ ნაწილს?

ნიმუში თქვენთვის არის შექმნილი

| წესი (წესები) | პარაგრაფი | საიდან იცით? |
|---------------|-----------|--|
| 10(ა) & 7(ა) | სიტყვა | წესი 10(ა)-ის თანახმად, ყველა საჩივარს უნდა ჰქონდეს სათაური და ყველა სათაურს ჰქონდეს |

| | | |
|--|------------|---|
| | „საჩივარი“ | წესი 7(ა)-ის შესაბამისი დასახელება. ამ შემთხვევაში, სათაურის დასახელებაა „საჩივარი“ წესი 7(ა)(1)-ის თანახმად. |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

ფლორიდის სამხრეთ ოლქის
აშშ ფედერალურ რაიონულ სასამართლოში
საქმის #

მოსარჩელე
ჯონათან დი სლოუნი
JONATHAN D. SLOANE
მოპასუხე
CARNIVAL CORPORATION (ქარნივალ ქორფორეიშენ),
D/B/A CARNIVAL CRUISE LINES, INC-ის
წინააღმდეგ

საჩივარი

მოსარჩელე ჯონათან დი სლოუნს, ქვემოთ ხელისმომწერი ადვოკატის მიერ და საშუალებით შეაქვს სარჩელი სასამართლოში მოპასუხე CARNIVAL CORPORATION, D/B/A CARNIVAL CRUISE LINES, INC.-ის (ქარნივალ ქორფორეიშენ, დი/ბი/ეი ქარნივალ ქრუიზ ლაინს, ინქ.-ის) (შემდგომში მოხსენიებული როგორც „CARNIVAL“) წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს შემდეგს:

ზოგადი მტკიცებები

1. ეს სარჩელი წარმოადგენს საზღვაო საკითხებთან დაკავშირებულ დავას, სადაც დავის საგანია 75,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხა, პროცენტისა და ხარჯების გამოკლებით, და იგი მიმდინარეობს ამერიკულ კორპორატიულ მოქალაქესა და ახალი ზელანდიის მოქალაქეს შორის და მიეკუთვნება აშშ კოდექსის 28-ე ნაწილის 1332(ა)(1-4) მუხლებით გათვალისწინებულ სასამართლო დავათა კატეგორიას და შესაბამისად, ფედერალური სასამართლო ოლქიც მართებულად შერჩეულია აშშ კოდექსის 28-ე ნაწილის 1332 და 1333 მუხლების თანახმად.
2. მოსარჩელეს აქვს უფლება მოითხოვოს საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით აშშ კოდექსის 28-ე ნაწილის 1332 მუხლის თანახმად.
3. ამ სარჩელთან დაკავშირებული მთელი პერიოდის განმავლობაში, მოსარჩელე ჯონათან დი სლოუნი, იყო ახალი ზელანდიის მოქალაქე.
4. ამ სარჩელთან დაკავშირებული მთელი პერიოდის განმავლობაში, მოპასუხე CARNIVAL წარმოადგენდა კორპორაციას, რომელსაც ჰქონდა კომერციული საქმიანობის წარმოების

უფლებამოსილება ფლორიდის შტატში, და კონტრაქტის თანახმად, იგი ექვემდებარება ამ სასამართლოს იურისდიქციას.

5. ამ სარჩელთან დაკავშირებული მთელი პერიოდის განმავლობაში, CARNIVAL ფლობდა და სამუშაო მდგომარეობაში ჰყავდა საკრუიზო გემი „ვიქტორი“ (Victory), რომელიც ფლორიდიდან, მაიამიდან დაახლოებით 2002 წლის 15 დეკემბერს გავიდა სხვადასხვა უცხოურ პორტებში სამოგზაუროდ და მაიამში დაბრუნდა დაახლოებით 2002 წლის 22 დეკემბერს.
6. დაახლოებით 2002 წლის 15 დეკემბერს, მოსარჩელე ჯონათან დი სლოუნი ავიდა საკრუიზო გემ „ვიქტორი“-ზე როგორც კომერციული მგზავრი.
7. დაახლოებით 2002 წლის 18 დეკემბერს, ჯონათან სლოუნი და მისი ოჯახი იმყოფებოდნენ მე-10 გემბანზე აუზის ზონაში და უყურებდნენ ბავშვებს როგორ სრიალებდნენ წყლის სასრიალოზე.
8. დაახლოებით ამ დროს, ჯონათან სლოუნის ვაჟი ჩამოსრიალდა და ჩავარდა აუზში, და ამ დროს, ხელი ჩაუვარდა აუზის პლექსიგლასის (გამჭვირვალე პლასტმასა) ზღუდესა და ქვედა კიდეს შორის.
9. ჯონათან სლოუნი შეეცადა მისულიყო თავის შვილთან, მაგრამ მას მაგრად დაუცურდა ფეხი აუზთან ახლოს, გემბანის საკმაოდ სრიალა ზედაპირზე.
10. იმ დროს, როცა ჯონათან სლოუნს ფეხი დაუცურდა და წაიქცა, არანაირი გამაფრთხილებელი ნიშანი არ იყო იქ იმისა, რომ გემბანის ის მონაკვეთი იყო საკმაოდ და/ან ძალიან სრიალა.
11. თუმცა, მოპასუხემ კარგად იცოდა გემბანზე არსებული ასეთი ვითარების შესახებ, რადგან მას გემბანის უმეტეს ადგილებში მოთავსებული ჰქონდა ქუჩის/გარე ხალიჩები, რომელთა დანიშნულება იყო იქ ძალზედ სრიალა ზედაპირის წარმოქმნისგან თავის არიდება.
12. წინა პარაგრაფში მოხსენიებული არანაირი ლურჯი ხალიჩები არ ეგო გემბანის იმ მონაკვეთში, სადაც მოსარჩელე დაეცა.
13. მოსარჩელე ჯონათან სლოუნი გასინჯა გემზე მყოფმა ექიმმა და გააგზავნა იგი ნაპირზე წმ. მარტინის კუნძულზე რენტგენის გადასაღებად, რამაც აჩვენა მარჯვენა მუხლსზედა მყესის გაწყვეტა.
14. ბ-ნი სლოუნი, რომელსაც მარჯვენა ფეხი ბარძაყიდან კოჭამდე თაბაშირში ჩაუსვეს, დაბრუნდა გემ „ვიქტორი“-ზე და მოგზაურობის დარჩენილი დროის უმეტესი ნაწილი გაატარა თავის კაიუტაში, ინვალიდის ეტლში, ფეხის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოთავსებით.
15. დაახლოებით 2002 წლის 22 დეკემბერს, ბ-ნმა სლოუნმა დატოვა გემი „ვიქტორი“ და უნდა გაფრენილიყო თავის სახლში, ახალ ზელანდიაში, ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც უკეთებდა სისხლის გამათხიერებელ ინექციებს.
16. აღნიშნულის შედეგად, ჯონათან სლოუნმა მიიღო ზიანი, მათ შორის და არამარტო: სხეულის დაზიანება და შესაბამისი ტკივილი და წვალება, ქმედუუნარობა, სულიერი ტკივილი, სრულფასოვნად ცხოვრების უნარის დაკარგვა, ჰოსპიტალიზაციის, სამედიცინო და ექთნისა და მკურნალობის ხარჯები, შემოსავლის დაკარგვა, ფულის გამომუშავების უნარის დაკარგვა და/ან ადრე არსებული მდგომარეობის გაუარესება. ამ დანაკარგთაგან ერთ-ერთი ზიანი ან უფრო მეტიც სამუდამო და/ან უწყვეტი და მოსარჩელე მომავალშიც განიცდის ზარალს.

CARNIVAL-ის მხრიდან დაუდევრობა

ჯონათან სლოუნის სახელით

მოსარჩელე განმეორებით ამტკიცებს (1)-(16) პარაგრაფებში ზემოაღნიშნულს და დამატებით აცხადებს შემდეგს:

17. ამ სარჩელთან დაკავშირებული მთელი პერიოდის განმავლობაში, იმ გემბანის კონსტრუქციაზე, საკუთრებაზე, შემოწმებაზე, აგებულებაზე, მოვლასა და/ან შეკეთებაზე, სადაც ჯონათან სლოუნს ფეხი დაუცურდა და წაიქცა, პასუხისმგებელი იყო მოპასუხე CARNIVAL.
18. ამ სარჩელთან დაკავშირებული მთელი პერიოდის განმავლობაში, მოპასუხის წარმომადგენლებს, თანამშრომლებსა და/ან დამოუკიდებელ კონტრაქტორებს ევალებოდათ მოსარჩელისთვის, ყველა სტუმრისთვის და/თუ სხვა ცალკეული პირებისთვის, რომლებიც კანონიერად იმყოფებოდნენ იქ, შეექმნათ სიფრთხილის გონივრული ზომები, ვალდებულნი იყვნენ უზრუნველყოთ (გემის) ფართის შესაბამისი უსაფრთხოება, და მათი მოვალეობა იყო გაეფრთხილებინათ ისინი არსებული სახიფათო პირობების შესახებ, რის შესახებაც მოპასუხემ იცოდა ან უნდა ცოდნოდა.
19. მოპასუხე CARNIVAL-მა, მისი წარმომადგენლების, თანამშრომლებისა და/ან დამოუკიდებელი კონტრაქტორების სახით, დაარღვია მოსარჩელის მიმართ არსებული მისი მოვალეობანი სიფრთხილის გონივრულ ზომებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ჩაიდინა შემდეგი სახის ერთი თუ მეტი ქმედება და/თუ დაუდევრობა:
 - (ა) უმოქმედობა დაუდევრობისა და გაუფრთხილებლობის გამო, შეექმნა სათანადოდ უსაფრთხო პირობები აუზის გარშემო და დაეცვა მოსარჩელე იმ საშიშროებისგან, რის შესახებაც მოპასუხემ იცოდა ან უნდა ცოდნოდა;
 - (ბ) დაუდევრობისა და გაუფრთხილებლობის გამო, მოსარჩელის არ გაფრთხილება იმ ფარული საფრთხეების შესახებ, რომელიც მოპასუხისათვის ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა, და რომელთა შესახებაც მოსარჩელემ არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა აღმოეჩინა უსაფრთხოების შესაბამისი ზომები რომ დაცული ყოფილიყო.
 - (გ) უსაფრთხოების შეფასების მიზნით, სათანადო პერიოდულობით აუზის გარშემო მოედნის რეგულარული ტექნიკური შემოწმებლობა;
 - (დ) თავის საკუთრებაზე სახიფათო პირობების შექმნა, კერძოდ, აუზის გარშემო მოედანი იყო სახიფათო, დაზიანებული და მისი დანიშნულებისთვის გამოსაყენებლად შეუსაბამო, და ფაქტიურად, წარმოადგენდა მახეს იქ მყოფი სტუმრებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ აუზის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გავლას.
 - (ე) დაუდევრობა აუზის გარშემო მოედნის/ტერიტორიის მოვლასთან დაკავშირებით, რითაც იქმნებოდა სახიფათო გარემო;
 - (ვ) აუზის გარშემო მოედნის/ტერიტორიის დაპროექტება, დამონტაჟება და/ან აგება მათი დაუდევრობით;

(ზ) აუზის გარშემო მოედნის დაპროექტებისას, დამონტაჟებისას და/ან აგებისას შესაბამისი კანონების, დირექტივების, ნორმების/წესების, სამრეწველო და/ან სამშენებლო სტანდარტების დაუცველობა;

(თ) იქ მყოფი პირების, ისეთი როგორც მოსარჩელეა, არ გაფრთხილება აუზის გარშემო მოედანზე არსებულ სახიფათო პირობებთან დაკავშირებით;

(ი) თავისი თანამშრომლებისა და სხვა პირებისთვის აუზის გარშემო მოედნის ტექნიკურ მომსახურებასა და მოვლასთან დაკავშირებით შესაბამისი მითითებების არ მიცემა და მათი წინასწარ არ გაფრთხილება აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლო შედეგების დადგომის შესახებ.

(კ) აუზის გარშემო მოედნით სარგებლობისა და ექსპლუატაციისას შექმნილი სახიფათო პირობების გამოუსწორებლობა;

(ლ) აუზის გარშემო მოედნის ტექნიკური მომსახურებისა და მოვლისთვის შესაბამისი პერსონალის არდაქირავება და სათანადო სწავლების არ ჩატარება;

(მ) იქ მყოფი სტუმრებისა (როგორცაა მოსარჩელე) და იმ ტერიტორიაზე სხვა ფეხით მოსიარულეთათვის სახიფათო პირობების შექმნა;

(ნ) აუზის გარშემო მოედნის თავდაპირველი მოწყობის/მონტაჟის შემდეგ, მისი შეცვლა ან წესრიგში მოყვანა ან სახეცვლილება; და

(ო) თავისი თანამშრომლების, წარმომადგენლების, დამოუკიდებელი კონტრაქტორების, მოწვეული სტუმრების და/ან მესაკუთრეების არასათანადო და არაშესაბამისი ინფორმირება აუზის გარშემო მოედნის უსაფრთხოდ ექსპლოატირებასთან დაკავშირებით.

(პ) აუზის გარშემო მოედნის ტერიტორიაზე მყოფ ბავშვებსა და მგზავრებზე მეთვალყურეობა არ განხორციელება და მათთვის დახმარების გაუწევლობა.

20. მაგრამ, ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, ჯონათან სლოუნს არ მიადგებოდა ზიანი, ისე როგორც ეს სრულად არის აღწერილი 16-ე პარაგრაფში.

21. მოპასუხის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევის პირდაპირი და უშუალო მიზეზის შედეგად, ჯონათან სლოუნი დაზარალდა, როგორც ეს სრულად აღწერილია 16-ე პარაგრაფში.

22. CARNIVAL სუბსტიტუციურად არის პასუხისმგებელი თავისი თანამშრომლების, პერსონალის, წარმომადგენლებისა და/ან უშუალო წარმომადგენლების მიერ CARNIVAL-ში და/ან გემ „ვიქტორი“-ზე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ჩადენილ დაუდევრობაზე.

რისთვისაც, მოსარჩელე ჯონათან სლოუნი მიყენებული ზიანისთვის ითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას მოპასუხე CARNIVAL-ის წინააღმდეგ, სამოცდათხუთმეტი ათას აშშ დოლარზე (\$75,000.00) მეტი ოდენობის თანხის მოთხოვნით, გადასახადებისა და

სხვა ხარჯების და ასევე, ყველა სხვა დანარჩენი დაკისრებული თანხის გამოკლებით, მათ შორის და არამარტო პროცენტის, და ითხოვს საქმის განხილვას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

პატივისცემით წარმოდგენილი,
 Downs & Associates, P.A.
 ბ-ნი რორი დი ბაჰადურ
 255 University Drive
 Coral Gables, FL, 33134
 ტელ.: (305) 444-8226
rory.bahadur@dbwlaw.com
 ბ-ნი რორი ბაჰადურ (Rory Bahadur, Esq.)
 ფლორიდის ადვოკატურა #:657344

დოკუმენტი 3: სტუდენტის შევსებული დოკუმენტი

| საჩივრის § | შეესაბამება | წესის თანახმად |
|-----------------------|-------------|---|
| სიტყვა "საჩივარი" | 10(a) | თითოეულ განაცხადს უნდა ჰქონდეს სათაური რომელიც გამოარჩევს მას როგორც ერთერთს 7(a)-ში. |
| პარაგრაფი 1 | 8(a)(1) | თითოეულ განაცხადს უნდა გააჩნდეს იურიდიული განცხადება. |
| დანომრილი პარაგრაფები | 10(b) | დანომრილი პარაგრაფები რამდენადაც შესაძლებელია გაერთიანებულია გარემოებათა ერთ ნაკრებად |
| სასამართლოს სახელი | 10(a) | საჭიროებს სათაურს სასამართლოს დასახელებით |
| მხარეების სახელები | 10(a) | საჭიროებს სულ მცირე ერთი მხარის დასახელებას და ასევე ყველა მხარის სახელებს |
| | 8(a)(1) | იურიდიული განაცხადი |

| | | |
|------------------------------|---------------------|--|
| <i>პარაგრაფი 1</i> | | |
| <i>პარაგრაფი 16</i> | <i>წესი 9(g)</i> | <i>განსაკუთრებული პირობები კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული</i> |
| <i>Reallleges (after 16)</i> | <i>წესი 10©</i> | <i>განაცხადში წარმოდგენილი განცხადება შეიძლება ნებისმიერ მითითებაში იყოს ნახსენები იგივე განაცხადში.</i> |
| <i>Wherefore clause Box</i> | <i>წესი 8(a)(3)</i> | <i>შემსუბუქების მოთხოვნა</i> |
| <i>ხელმოწერის ნაწილი</i> | <i>წესი 11(a)</i> | <i>განცხადებების და მათში ასახული ინფორმაციის ხელმოწერა</i> |

სავარჯიშო 2

დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის სწავლება ოთხი პედაგოგიური მეთოდის გამოყენებით

ეს მოდელური სავარჯიშო განასახიერებს კლასში ახალი ცნების შეტანის შემთხვევას და მეთოდოლოგიურად შესაძლებელია მიესადაგოს ნებისმიერ სასწავლო დისციპლინასა თუ სამართლის დარგს.

მიზანი:

სავარჯიშო განკუთვნილია დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის კლასისთვის. კონკრეტული საკლასო მუშაობის მიზანია დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლისთვის მნიშვნელოვანი კონცეპტის, სუბროგაციის, გაცნობა სტუდენტებისთვის. სალექციო/თეორიული კომპონენტის ნაცვლად სტუდენტები საკლასო მუშაობის დასაწყისიდანვე საკლასო აქტივობაში ერთვებიან. სავარჯიშო გაწერილია 1-საათიანი საკლასო მუშაობის მოდელის მიხედვით.

სავარჯიშოს მიზანია, სტუდენტებმა თავად ჩამოაყალიბონ სუბროგაციის ცნება მათ ცნობიერებაში არსებული ცოდნის (დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის და დელიქტის სამართლის ზოგადი პრინციპების ცოდნა) გამოყენებით.

მეთოდი:

- ეს სავარჯიშო შედარებით მარტივი მეთოდოლოგიური აგებულებისაა. კერძოდ, ის შედგება ჯგუფური მუშაობის ორი ეტაპის, ჯგუფური მუშაობის შედეგების კლასში გაცნობისა და ლექტორის მიერ შეჯამების კომპონენტებისაგან.
- სტუდენტთა საერთო ჯგუფი იყოფა ქვეჯგუფებად სტუდენტების საერთო რაოდენობის მიხედვით. ყველა ჯგუფს ურიგდება ორი იდენტური ფურცელი. ერთ ფურცელზე დატანილია შემდეგი ტიპის ინფორმაცია: საქმის ფაბულა, კითხვა, წესი და წესის განმარტება. მეორე ფურცელზე დატანილია კითხვები ჯგუფური მუშაობისთვის.
- ჯგუფური მუშაობის პირველ ეტაპზე სტუდენტებმა უნდა უპასუხონ მეორე ფურცელზე დატანილ კითხვებს. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 20 წუთი.
- ჯგუფური მუშაობის შემდეგ ლექტორი მართავს ჯგუფური მუშაობის შედეგების ზეპირად გაცნობის პროცესს და ვიზუალური აღქმადობის მიზნებისათვის დაფაზე გამოქვს შედეგები. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.
- ჯგუფური მუშაობის პირველი ეტაპის შედეგების გაცნობის შემდეგ სტუდენტები ჯგუფური მუშაობის მეორე ეტაპზე გადადიან. ამჯერად მათი დავალებაა, ოთხ კითხვაზე ჩამოყალიბებული პასუხების მიხედვით შეადგინონ წესი და მიუსადაგონ საქმის ფაბულას. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.
- შემდეგ ეტაპზე სტუდენტებს დაფაზე გამოაქვთ მათ მიერ ჩამოყალიბებული ცნებები. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი. ბოლო ეტაპზე ლექტორს ეკრანზე (ან დაფაზე/შესამღებლობის მიხედვით) გამოაქვს სუბროგაციის ცნება და მოკლედ აღწერს სუბროგაციის ცნების ელემენტებს სტუდენტების მიერ ოთხ კითხვაზე ჩამოყალიბებული პასუხების მიხედვით. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.

კონტექსტუალური კავშირების რუკა/ცოდნის დაშენება:

კითხვებზე საპასუხოდ სტუდენტები მოიხმობენ ცოდნას, რომელიც დაზღვევის სახელშეკრულებო კლასში და მის გარეთ შეიძინეს. კერძოდ, სტუდენტები ლოგიკურ კავშირებს ამყარებენ შემდეგნაირად:

- რამდენად სამართლიანი იქნება, რომ დავით დავითაშვილს საერთოდ არ დაეკისროს პასუხისმგებლობა (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის?
პირველი კითხვის ნაწილში სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ცოდნა დელიქტის სამართლის (და კონკრეტულად ზიანის ანაზღაურების) მიზნის შესახებ;
- რამდენად სამართლიანი იქნება, რომ დავით დავითაშვილს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს გიგი გიგიძემ (მას შემდეგ რაც სადაზღვევო კომპანიისგან მიიღებს ანაზღაურებას)?
მეორე კითხვის ნაწილში სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ცოდნა დაზღვევის ცნების და უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის, როგორც ამ ცნების შემადგენელი ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტის, შესახებ/დამზღვევის მიერ მოგების მიღების აკრძალვის ნაწილში;
- როდის უნდა შეეძლოს სადაზღვევო კომპანიას მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის რეალიზაცია: დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურებამდე თუ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურების შემდეგ? რატომ?

რა მოცულობის ფარგლებში უნდა შეეძლოს სადაზღვევო კომპანიას მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წაყენება? რომელი უფრო სამართლიანია: „ქოლგას“ მიერ იგივე ოდენობის

თანხის მოთხოვნა, რომელიც დამზღვევის სასარგებლოდ ანაზღაურა თუ ნებისმიერი, მაგალითად, დამზღვევისთვის ანაზღაურებულზე მეტი ოდენობის, მაგრამ დამდგარი ზიანის ოდენობის ფარგლებში არსებული თანხის მოთხოვნა? რატომ?

მესამე და მეოთხე კითხვების ნაწილში სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ცოდნა დაზღვევის ცნების და უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის, როგორც ამ ცნების შემადგენელი ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტის, შესახებ/მზღვეველის მიერ მოგების მიღების აკრძალვის ნაწილში.

სტუდენტებისთვის მიწოდებული მასალის ნიმუში:

ფურცელი #1

საქმის ფაბულა:

გიგი გიგიძის ავტომობილი საგზაო მოძრაობის პროცესში, დავით დავითაშვილის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად, დაზიანდა. ავტომობილისთვის მიყენებული ზიანის ფულადი ოდენობა განისაზღვრა 2500 ლარით. ავტომობილი დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია „ქოლგასი“. გიგიძეს სადაზღვევო კომპანიამ სრულად აუნაზღაურა ზიანი.

კითხვა:

ა) უნდა ჰქონდეს თუ არა „ქოლგას“ უფლება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს დავით დავითაშვილს?

ბ) დადებითი პასუხის შემთხვევაში რა პირობით/რა ფარგლებში უნდა შეეძლოს „ქოლგას“ ამ უფლების რეალიზაცია? ხომ არ არის საჭირო რაიმე ტიპის დათქმის გათვალისწინება?

წესი:

დაზღვევის მიზანია ზიანის ანაზღაურება.

წესის განმარტება:

ზიანის ანაზღაურება გულისხმობს დაზღვეულისთვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

დაზღვევა გამორიცხავს რომელიმე მხარის (სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილის) მიერ მოგების მიღების შესაძლებლობას.

ფურცელი #2

კითხვები ჯგუფური მუშაობისთვის:

- 1) რამდენად სამართლიანი იქნება, რომ დავით დავითაშვილს საერთოდ არ დაეკისროს პასუხისმგებლობა (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის?

- 2) რამდენად სამართლიანი იქნება, რომ დავით დავითაშვილს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს გიგი გიგიძემ (მას შემდეგ რაც სადაზღვევო კომპანიისგან მიიღებს ანაზღაურებას)?
- 3) როდის უნდა შეეძლოს სადაზღვევო კომპანიას მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის რეალიზაცია: დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურებამდე თუ დამზღვევისათვის ზიანის ანაზღაურების შემდეგ? რატომ?
- 4) რა მოცულობის ფარგლებში უნდა შეეძლოს სადაზღვევო კომპანიას მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წაყენება? რომელი უფრო სამართლიანია: „ქოლგას“ მიერ იგივე ოდენობის თანხის მოთხოვნა, რომელიც დამზღვევის სასარგებლოდ ანაზღაურა თუ ნებისმიერი, მაგალითად, დამზღვევისთვის ანაზღაურებულზე მეტი ოდენობის, მაგრამ დამდგარი ზიანის ოდენობის ფარგლებში არსებული თანხის მოთხოვნა? რატომ?

სავარჯიშო 3

სწავლის მიზნების შესაბამისი სწავლების ფორმების შერჩევა სილაბუსის მომზადებისას ოთხი პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით

მიზანი

აღნიშნული სავარჯიშოს მიზანია ყურადღება გაამახვილოს სწავლის შედეგებს, სწავლების სტრატეგიასა და შერჩეულ მეთოდებს შორის ურთიერმიმართებაზე, რამაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს კურსის/სწავლების ფარგლებში განსაზღვრული ზოგადი და კერძო მიზნების ეფექტიან შესრულებას.

ამასთან, სავარჯიშოს მიზანია ტრენინგის მონაწილეების მხრიდან აქტიური სწავლის მეთოდის გამოყენებით მოხდეს მსჯელობა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ კურსის მიზნების თავისებურებიდან გამომდინარე.

დავალების აღწერა

ტრენინგების მონაწილეებს ურიგდებათ მხოლოდ ერთი დოკუმენტი “შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართლის” სილაბუსის პროექტი, რომელიც არ არის დამთავრებული:

- სილაბუსის პროექტი მოიცავს კურსის აღწერას და შინაარსს, რომელიც შინაარსობრივ წარმოდგენას უქმნის ტრენინგში მონაწილე პირებს კურსის შესახებ. დამატებით სილაბუსის პროექტი მოიცავს ზოგადი და კონკრეტული მიზნების ჩამონათვალს, როგორც სამართლის ასევე უნარების კუთხით რაც სტუდენტმა კურსის ფარგლებში უნდა შეიძინოს;
- სილაბუსის პროექტის ბოლოს გამოყოფილია სწავლების და სწავლის სტრატეგიის ნაწილი, რომელიც დასაწერია/შესავსებია ტრენინგში მონაწილე პირების მიერ.

- ტრენინგის მონაწილეები იყოფიან 2-3 კაციან ჯგუფებად და ეთხოვებად შეავსონ სილაბუსის პროექტი ბოლომდე - შეარჩიონ მისაღები სწავლების მეთოდები და ასევე მოამზადონ დასაბუთება თუ რატომ შეარჩიეს კონკრეტული სწავლების ფორმა;
- ჯგუფების მიერ ხდება შერჩეული სწავლების მეთოდების პრეზენტაცია ტრენერის ფასილიტაციით, რომელიც დაფაზე განათავსებს შემოთავაზებებს და მათ ურთიერთმიმართებას მიზნებთან. პრეზენტაციას მოყვება დისკუსია, რომლის ფარგლებშიც გამოჩნდება თუ რამდენად დაემთხვა ჯგუფების მიერ შერჩეული სწავლების მეთოდები ზოგადი და კერძო მიზნებიდან გამომდინარე;
- სავარჯიშოს ბოლოს ხდება ტრენინგის მონაწილეების მიერ შევსებული პროექტის სილაბუსის ბოლო კომპონენტის გაერთიანება - საბოლოო სწავლების ფორმების შერჩევით.

სწავლების პედაგოგიური ასპექტები

აქტიური სწავლის მეთოდი - ტრენინგის მონაწილეებს ურიგდებათ სილაბუსის პროექტი და ეძლევათ 15-20 წუთი იმისათვის, რომ გაეცნონ სილაბუსს და ჯგუფებში შეავსონ სილაბუსის პროექტი. ამ ეტაპზე ტრენერი არ ერთვება ჯგუფებში მუშაობაში, რადგან ტრენინგში მონაწილე პირები თავად ახორციელებენ სწავლის სტრატეგიის და მეთოდების ჩამოყალიბებას. ტრენერი ახორციელებს სილაბუსის პრეზენტაციას და განმარტავს დავალებას, რომელიც წერილობითი ფორმით მოცემულია სილაბუსის პროექტში.

მეტაკოგნიტური შემეცნება და მულტიფუნქციური პრეზენტაცია - 2-3 კაციან ჯგუფებში მუშაობისას კუთხით ტრენინგის მონაწილეებს საშუალება აქვთ ვიზუალურად გაეცნონ დავალებას და ასევე იმუშაონ ჯგუფებში, რაც მათ მისცემს საშუალებას გაიაზრონ დავალება და ჯგუფის შიგნით გამართონ დისკუსია შერჩეული მეთოდების დადებით და უარყოფით მხარეებზე;

კონტექსტუალური კავშირი/ცოდნის დაშენება - ტრენინგის მონაწილეები სილაბუსის პროექტზე მუშაობისას ქმნიან წარმოდგენას თუ როგორი უნდა იყოს საერთო ჯამში სრულყოფილი სილაბუსი. ამასთანავე, ტრენინგში მონაწილე პირების პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით (ისინი ასწავლიან სამართალს ან/და სწავლის მეთოდებს), როგორც ლექტორებს მათ აქვთ სილაბუსის შედგენის გამოცდილება და შეუძლიათ გამოიყენონ წარსული პრაქტიკა/გამოცდილება დავალების შესრულებისას. აღნიშნული დავალების ფარგლებში მათ ასევე უწევთ ზოგადი ცოდნის გამომჟღავნება, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული კონკრეტული მიზნის მისაღწევად, რაც ყოველდღიურ საქმიანობაშიც აისახება.

სილაბუსის პროექტი

შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართალი

არჩევითი საგანი (IV კურსი)

აღწერა და შინაარსი

კურსის საგანს წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი რამოდენიმე სამართლის დარგის შესწავლა, რომელიც თავის თავში მოიცავს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, საერთაშორისო სისხლის სამართალს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო

სამართალს და საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (სჰს) საერთაშორისო საჯარო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ძველი დარგია. მას წარსულში შეიარაღებული კონფლიქტების სამართალს და ომის სამართალსაც უწოდებდნენ. მისი ძირითადი მიზანია მეგრძოლი მხარეების სამხედრო აუცილებლობის/ინტერესების დაბალანსება ჰუმანიტარულ მიზნებთან (პირთა დაცვა). მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა პერიოდმა, რომელსაც თან სდევდა დეკოლონიზაციის პროცესი, არასახელმწიფოებრივი სუბიექტების წარმოშობამ (მათ შორის ტერორისტული დაჯგუფებების) და ტექნიკის განვითარებამ მრავალი გამოწვევა წარმოაჩინა რაც ხშირად დაკავშირებულია სახელმწიფოთა მხრიდან სჰს-ს ნორმების უხეშ დარღვევის ფაქტებთან, არასწორ ინტერპრეტაციასთან ან განზრახ უმოქმედობასთან. დღეისათვის არსებული რეალობა (საქართველო, უკრაინა, სირია, და ა.შ.) ცხადყოფს რომ აღნიშნული სამართლის არსებობა და განვითარება აუცილებელი და გარდაუვალია. აღნიშნული სამართალი ეხება ომის დროს მოქმედ წესებს, როგორცაა ოკუპირებული ტერიტორიების დროს მოქმედი ნორმები, საბრძოლო მოქმედებების დროს გამოყენებული მეთოდების (სტრატეგია) და საშუალებების (იარაღის) გამოყენების მარეგულირებელი ნორმები, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირთა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ წესები.

კურსის პირველი ნაწილი დაეთმობა შეიარაღებული კონფლიქტების კვალიფიკაციის საკითხს სჰს-ს მიხედვით, ოკუპაციის განმარტებას და სჰს-ს ფარგლებში ოკუპაციის დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, პირთა დაცვის სტანდარტს საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს და საბრძოლო მოქმედებების დროს მოქმედ წესებს, რომელიც მოიცავს როგორც ომის წარმოების მეთოდებს (ტაქტიკა) ასევე საშუალებებს (იარაღს).

კლასიკური მიდგომის თანახმად **ადამიანის უფლებების** მოქმედება შემოიფარგლებოდა მშვიდობიანი პერიოდით. თუმცა ბოლო სამ ათწლეულში სახელმწიფოთა პრაქტიკა და საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების (მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) გადაწყვეტილებები ცხადყოფს რომ ადამიანის უფლებები მოქმედებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ის არა მარტო არეგულირებს სახელმწიფოთა ქმედებებს, არამედ ურთიერთქმედებაში შედის სხვა სამართლის დარგებთანაც. ამ მხრივ საინტერესოა, თუ რამდენად იწვევს ადამიანის უფლებების მოქმედება შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონფლიქტს სხვა სამართლის ნორმებთან (მაგალითად, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან). ამასთან, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს სხვადასხვა სამართლის დარგებით გათვალისწინებული ვალდებულების თანაბრად შესრულება და ურთიერთშევესება ინდივიდის დაცვის საუკეთესო სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებით.

კურსის მეორე ნაწილი დაეთმობა ადამიანის უფლებების გავრცელებას და გამოყენებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მის ურთიერთმიმართებას სჰს-ს ნორმებთან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. განხილულ იქნება ამ ორი სამართლის დარგის ურთიერთმიმართება წამების აკრძალვის, სიცოცხლის უფლების, თავისუფლების შეზღუდვის (დაკავების) და სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში.

საერთაშორისო სისხლის სამართალი შედარებით ახალი დარგია საერთაშორისო საჯარო სამართლის და მისი დასაბამი დაკავშირებულია პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს განვითარებულ მოვლენებთან. ის მიზნად ისახავს საერთაშორისო დანაშაულების (გენოციდი,

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები და აგრესიული ომის წარმოების დანაშაული) ჩამდენი პირების პასუხისმგებლობას საერთაშორისო დონეზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მძიმე ხასიათის დანაშაულების დაუსჯელობა. ამასთანავე, საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარება ხშირ შემთხვევაში მოითხოვს სისხლის სამართლის პრინციპების პროგრესულ ინტერპრეტაციას (მაგ. კანონიერების პრინციპთან მიმართებაში) და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას ახალი სტანდარტების შემოთავაზებით. სამწუხაროდ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაულებისთვის პასუხისმგებელი პირების გასამართლება სახელმიწვოთა ვალდებულებას წარმოადგენს (შიდა სასამართლოების მეშვეობით), აღნიშნული სამართლის ძირითადი კატალისტები საერთაშორისო დონეზე შექმნილი მუდმივმოქმედი (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო) ან დროებითი (რუანდის კონფლიქტთან დაკავშირებით შექმნილი ad hoc ტრიბუნალი) სასამართლოები არიან.

კურსის მესამე ნაწილი დაეთმობა საერთაშორისო დანაშაულების განმარტების და შემადგენელი ნაწილების შესწავლას, როგორც არის გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაულები და აგრესია. აღნიშნული დანაშაულები თავისი შემადგენლობით განსხვავდება ჩვეულებრივი დანაშაულებისა, რადგან მოიცავს როგორც mens reas (სუბიექტური მხარე) ასევე actus reus (შემადგენელ ქმედებებს). ასევე მნიშვნელოვანია, ისეთი საკითხები, როგორც არის სასამართლოებს შორის იურისდიქციის გადანაწილება (უპირატესობა v. კომპლიმენტარულობა), კონკრეტულ პირთა იმუნიტეტი ან/და ამნისტია, რომელმაც შესაძლოა დააბრკოლოს მართმსაჯულების განხორციელება და ა.შ.

მიზანი და სწავლის შედეგები (ზოგადი და სპეციფიური)

| | |
|---|---|
| ზოგადი/ძირითადი მიზნები | |
| <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტმა ისწავლოს სამი სამართლის დარგის სამართლებრივი დოქტრინა (თეორია) და ნორმათა ინტერპრეტაციის ფორმები; • სტუდენტმა შეძლოს სამართლის დოქტრინის პრაქტიკაში გამოყენება კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით; • განავითაროს სტუდენტების შესაძლებლობა მოახდინონ კონკრეტული სიტუაციისათვის რელევანტური სამართლებრივი ნორმების იდენტიფიკაცია, გამოყენება და შედეგად მართებული სამართლებრივი შეფასების გაკეთება კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციის მაგალითზე; | |
| კონკრეტული/სპეციფიური მიზნები | |
| სამართლის კუთხით: | <ul style="list-style-type: none"> ○ სტუდენტმა ისწავლოს სპს-ს, საერთაშორისო სისხლის და კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებათა სამართლის გავრცელების პრინციპები და არსებული გამოწვევები; ○ სტუდენტმა ისწავლოს სამართლის სხვადასხვა დარგების ნორმათა ურთიერთმიმართების თეორიები; ○ ყურადღება დაეთმოს როგორც არსებითი ნორმების სწავლას ასევე პროცედურულ საკითხებს, რომელიც მნიშვნელოვანია დაცვის უფლების ეფექტური განხორციელების ან/და შიდა თუ საერთაშორისო |

| | |
|------------------|---|
| | სასამართლოში საქმის დასაშვებობის უზრუნველსაყოფად; |
| უნარების კუთხით: | <ul style="list-style-type: none"> ○ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განავითაროს სტუდენტის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება. სტუდენტმა უნდა შეძლოს მართებული სამართლებრივი დარგების და მათი არგუმენტების იდენტიფიცირება, კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბება და საწინააღმდეგო პოზიციის გაბათილება. მაგალითად, მოსარჩელე ან მოპასუხე მხარის, სახელმწიფო ინსტიტუტის, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან საკითხის წარმოდგენა ან ლობირება; ○ განუვითაროს სტუდენტს წერის კულტურა, რაც გულისხმობს კონკრეტული აზრის ლაკონურად, ზუსტად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას, შესაბამის სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით (სამართლოს მხარის პოზიცია/მემო, ანგარიშის მომზადება, და ა.შ.). ○ განუვითაროს სტუდენტს ზეპირად არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი სხვადასხვა პოზიციიდან გამომდინარე; ○ განუვითაროს სტუდენტს კვლევის უნარი - განსაკუთრებით საქმეებზე მუშაობის კუთხით (ანალიზი, პოზიციის მომზადება, დაწერა და ა.შ.). |

სწავლების და სწავლის სტრატეგია

- რომელ სწავლის მეთოდს/ებს შესთავაზებთ ლექტორს გამოიყენოს აღნიშნული კურსის მსვლელობისას მისი შინაარსის, ზოგადი და კონკრეტული მიზნების გათვალისწინებით?
- რატომ არის თქვენს მიერ შერჩეული სწავლის მეთოდი რელევანტური მიზნების მიღწევის კუთხით?

სწავლების და სწავლის სტრატეგიის სავარაუდო ჩამონათვალი/მონახაზი, რომელიც აღნიშნული სავარჯიშოს შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს

მომზადების ეტაპი - სტუდენტები ვალდებული არიან, ლექციამდე წინასწარ მოამზადონ აღნიშნული ლექციისათვის გათვალისწინებული საკითხავი მასალა - ყურადღებით წაიკითხონ მითითებული მასალა, მოინიშნონ მათთვის საინტერესო საკითხები და პრობლემები, იფიქრონ ლექტორის მიერ შესაძლო კითხვებზე. ლექციის ძირითადი დრო დაეთმობა ანალიზს, არგუმენტაციას და აზრთა გაცვლას.

კურსის მსვლელობისას გამოყენებული იქნება აქტიური სწავლების მეთოდი:

სტუდენტები განიხილავენ/დაამუშავენ იმიტირებულ კაზუსს, რომელიც ეტაპობრივად განვითარდება. კერძოდ, ლექტორის მიერ სწავლების მეორე კვირიდან მომზადდება კაზუსი, რომელიც ყოველ ორ -სამ კვირაში ერთხელ განიცდის ფაქტობრივ განვითარებას მთელი კურსის

მანძილზე. კაზუსი შედგება პირობითად 5 კომპონენტისგან, აქედან 3 კომპონენტი არის წერილობითი და 2 კომპონენტი არის ზეპირი.

ზეპირი კომპონენტი მოიცავს კაზუსის კონკრეტული ეპიზოდისგან გამომდინარე პოზიციის მომზადებას და მის პრეზენტაციას სიმულაციის ფარგლებში. ზეპირი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი ინდივიდუალურ დავალებას მიიღებს 2 დღით ადრე.

| ფორმა | მიზნები |
|--|--|
| პირველი ზეპირი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტები თამაშობენ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის იმიტირებულ როლს და ახორციელებენ სიტუაციის სამართლებრივ შეფასებას; | ზეპირი არგუმენტაციის უნარი სამართლის რამოდენიმე დარგის ურთიერთმიმართება კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბება საწინააღმდეგო პოზიციის იდენტიფიცირება |
| მეორე ზეპირი კომპონენტის ფარგლებში ხდება გაეროს უშიშროების საბჭოს სიმულაცია; | ზეპირი არგუმენტაციის უნარის წარმოდგენა დროის მოკლე პერიოდში სამართლის რამოდენიმე დარგის ურთიერთმიმართება და ანალიზი კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბება, ლობირება და მოლაპარაკების უნარჩვევები საპირისპირო პოზიციის გააბათილება |

წერილობითი კომპონენტი მოიცავს კაზუსის კონკრეტული ეპიზოდის ირგვლივ წერილობითი ამოხსნის მომზადებას. ამოხსნის დროს სტუდენტს საშუალება ექნება გამოიყენოს ყველა მასალა (ღია წიგნის პრინციპი). თუმცა ეს ზრდის მოლოდინს, რომ სტუდენტი შეძლებს საქმეების (ე.წ. case-law-) მემწეობით მისი არგუმენტების გამყარებას. დამუშავებაში იგულისხმება

- კაზუსში არსებული პრობლემატური საკითხის გამოვლენა (Issue);
- აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმის/წესის იდენტიფიცირება (Rule);
- არსებულ კაზუსთან მისადაგება/გამოყენება (Application);
- დასკვნა (Conclusion);

| ფორმები | მიზნები |
|---|--|
| სამართლებრივი შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტის მხრიდან | წერის კულტურა, რაც გულისხმობს კონკრეტული აზრის ლაკონურად, ზუსტად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას, შესაბამის სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით |
| ევროპული ადამიანის უფლებათა ადვოკატორების ცენტრის მკვლევარი, რომელიც ახორციელებს სასარჩელო განცხადების მომზადებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განაცხადის წარსადგენად | წერის კულტურა, რაც გულისხმობს კონკრეტული აზრის ლაკონურად, ზუსტად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას, შესაბამის სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით პროცედურული ნორმების ცოდნა |

| | |
|--|--|
| | კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბება |
| საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ანგარიშის მომზადება | წერის კულტურა, რაც გულისხმობს კონკრეტული აზრის ლაკონურად, ზუსტად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას, შესაბამის სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით |

სავარჯიშო 4

სუბროგაციის პრინციპის განმარტება

ოთხი პედაგოგიური მეთოდის გამოყენებით

მიზანი:

სავარჯიშო განკუთვნილია დაზღვევის სახელმწიკრულებო სამართლის კლასისთვის. კონკრეტული საკლასო მუშაობის მიზანია სუბროგაციის პრინციპის განმარტება, კერძოდ, მისი გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა დაზღვევის სახეების მიხედვით (ქონების დაზღვევა/სიცოცხლის დაზღვევა). ლექციური/თეორიული კომპონენტის ნაცვლად სტუდენტები საკლასო მუშაობის დასაწყისიდანვე საკლასო აქტივობაში ერთვებიან. სავარჯიშო გაწერილია 1-საათიანი საკლასო მუშაობის მოდელისთვის.

სავარჯიშოს მიზანია, სტუდენტებმა თავად განმარტონ სუბროგაციის პრინციპი მათ ცნობიერებაში არსებული ცოდნისა (დაზღვევის ცნება/სუბროგაციის ცნება) და ნორმის განმარტების მეთოდების გამოყენებით.

მეთოდი:

- ეს სავარჯიშო შედარებით კომპლექსური მეთოდოლოგიური აგებულებისაა. კერძოდ, ის შედგება ჯგუფური მუშაობის ორი ეტაპის, განსხვავებული მოსაზრებების/პერსპექტივების გაცნობის, სტუდენტების შეჯამებისა და ლექტორის მიერ შეჯამების კომპონენტებისაგან.
- სტუდენტთა საერთო ჯგუფი იყოფა ქვეჯგუფებად სტუდენტების საერთო რაოდენობის მიხედვით. ამ სავარჯიშოს მიზნებისთვის საჭიროა ჯგუფების წყვილი ციფრი. ყველა ჯგუფს ურიგდება ერთი იდენტური ფურცელი. ფურცელზე დატანილია შემდეგი ტიპის ინფორმაცია: საქმის ფაბულა, კითხვა, წესი და წესის განმარტება. ჯგუფური მუშაობის პირველ ეტაპზე სტუდენტები წერილობით აყალიბებენ პასუხს საქმის ფაბულაში დასმულ კითხვაზე. მოკლე წერილობით პასუხებში ჯგუფები წარმოადგენენ მათ დასაბუთებებს. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 20 წუთი.
- შემდეგ ეტაპზე ჯგუფები ცვლიან ერთმანეთის წერილობით პასუხებს და ეცნობიან სხვა ჯგუფების მიერ ჩამოყალიბებულ პასუხებს/დასაბუთებებს. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.

- შემდეგ ეტაპზე ჯგუფებს ეძლევათ შესაძლებლობა შეაჯერონ მათი და სხვა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული პასუხები/არგუმენტაცია და გადასინჯონ მათი პოზიციები. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.
- შემდეგ ეტაპზე ყველა ჯგუფი ერთი წარმომადგენლის მეშვეობით დაფასთან აცნობს კლასს მათ პოზიციას/სუბროგაციის პრინციპის განმარტების მათ ვერსიას. სასურველია წარმომადგენლის შერჩევა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული პრინციპით (მაგალითად, უახლოესი იუბილარის პრინციპით და მისთ.), რომ უზრუნველყოფილი იყოს მეტი ჩართულობა და სტუდენტების თანაბარი მონაწილეობა. ამ აქტივობისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.
- ბოლო ეტაპზე ლექტორი მოკლე რეზიუმირებას ახდენს და წარმოადგენს დაზღვევის ქართულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებულ განსხვავებულ მიდგომებს სუბრიგაციის პრინციპის განმარტების თაობაზე. ამ აქტივობისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.

სტუდენტების მიწოდებული მასალის ნიმუში:

ფურცელი

საქმის ფაბულა:

მარინა გიგიძის მეუღლე, გიგი გიგიძე, გარდაიცვალა დავით დავითაშვილის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად. ბატონ გიგი გიგიძეს გაფორმებული ჰქონდა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანია „ქოლგასთან.“ სადაზღვევო კომპანია „ქოლგამ“ ქალბატონ მარინა გიგიძეს სრულად აუნაზღაურა მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული მატერიალური ზიანი, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხის ოდენობის (ლიმიტის) შესაბამისად.

კითხვა:

- ა) უნდა ჰქონდეს თუ არა მარინა გიგიძეს უფლება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს დავით დავითაშვილს? რატომ?
- ბ) როგორ უნდა განიმარტოს სუბროგაციის პრინციპი მოცემული მაგალითის მიზნებისთვის? რატომ?

წესი:

დაზღვევის მიზანია ზიანის ანაზღაურება.

წესის განმარტება:

ზიანის ანაზღაურება გულისხმობს დაზღვეულისთვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

დაზღვევა გამორიცხავს რომელიმე მხარის (სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილის) მიერ მოგების მიღების შესაძლებლობას.

სავარჯიშო 5

საერთაშორისო საჯარო სამართლის ლექცია

ოთხი პედაგოგიური მეთოდის გამოყენებით

მიზანი

აღნიშნული სავარჯიშოს მიზანია ძირითადად ყურადღება გაამახვილოს სწავლის აქტიური მეთოდის გამოყენებაზე სტუდენტებისათვის ნორმის განმარტების სწავლების და მისი ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სავარჯიშო გამიზნულია საერთაშორისო საჯარო სამართლის ლექციისთვის.

დავალების აღწერა

- სტუდენტებს ურიგდებათ ჰენდაუთი, რომელშიც მოცემულია ნორმები და მათი განმარტებები, რომელიც ეხება სახელმწიფოს წარმოშობას საერთაშორისო დონეზე როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი;
- მოცემული სავარჯიშოს მიზნებისთვის სტუდენტები იყოფიან 2 ჯგუფად და ეძლევათ კონკრეტული დავალება:
 - o ჯგუფი 1: რამდენად აკმაყოფილებს აფხაზეთი სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებს? რამდენად არის აფხაზეთი სახელმწიფო - საერთაშორისო სამართლის სუბიექტი? რამდენად აქვს მნიშვნელობა იმას აღნიშნული შეკითხვა დაისმება 1995 წელს თუ 2008 წლის შემდგომ?
 - o ჯგუფი 2: რამდენად აკმაყოფილებს ცხინვალის რეგიონი სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებს? რამდენად არის ცხინვალის რეგიონი სახელმწიფო - საერთაშორისო სამართლის სუბიექტი? რამდენად აქვს მნიშვნელობა იმას აღნიშნული შეკითხვა დაისმება 1995 წელს თუ 2008 წლის შემდგომ?
- ორივე ჯგუფს ეძლევა 30 წუთი პოზიციების ჩამოსაყალიბებლად;
- ჯგუფების მიერ ხდება შერჩული პოზიციების პრეზენტაცია ტრენერის ფასილიტაციით, რომელიც დაფაზე განათავსებს შემოთავაზებებს და ჯგუფებს სთხოვს ორი მაგალითის ურთიერთშედარებას;

სწავლების პედაგოგიური ასპექტები

აქტიური სწავლის მეთოდი - სტუდენტებს ურიგდებათ ჰენდაუთი და ეძლევათ 30 წუთი იმისათვის, რომ გაეცნონ საკითხს. ამ ეტაპზე ტრენერი არ ერთვება ჯგუფებში მუშაობისას, რადგან ტრენინგში მონაწილე პირები თავად ახორციელებენ პასუხების მოძიებას დასმულ შეკითხვაზე.

მეტაკოგნიტური შემეცნება და მულტიფუნქციური პრეზენტაცია - ჯგუფებში მუშაობის კუთხით სტუდენტებს საშუალება აქვთ ვიზუალურად გაეცნონ დავალებას და ასევე იმუშაონ ჯგუფებში, რაც მათ მისცემს საშუალებას გაიაზრონ დავალება და ჯგუფის შიგნით გამართონ დისკუსია შერჩეული მეთოდების დადებით და უარყოფით მხარეებზე;

კონტექსტუალური კავშირი/ცოდნის დაშენება - სტუდენტებს ჰენდაუთში მოცემული აქვს ინფორმაცია მაგალითებზე მინიშნების სახით, რაც მათ უნდა დაეხმაროს დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხის მოძიებაში.

მონტევიდეოს კონვენცია 1933 წელი

მუხლი 1

სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, შემდეგი თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს:

1. მუდმივი მოსახლეობა
2. განსაზღვრული ტერიტორია
3. მთავრობა
4. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარი

მუხლი 3

სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა არ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოთა მიერ მის ცნობაზე. სახელმწიფოს უფლება აქვს, ცნობამდეც დაიცვას თავისი ერთიანობა და დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს მისი დაცვა და კეთილდღეობა, აირჩიოს მმართველობის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა, განახორციელოს თავისი ინტერესების შესაბამისი საკანონმდებლო ხელისუფლება, შეასრულოს თავისი ფუნქციები განსაზღვროს თავისი სასამართლოების კომპეტენცია და იურისდიქცია. ამ შემთხვევაში არსებობს ერთადერთი შეზღუდვა: ამ უფლებათა განხორციელებამ ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა სახელმწიფოთა უფლებების განხორციელებას საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

ოთხი კრიტერიუმის განმარტება:

1. **ტერიტორია:** ტერიტორიაზე სუვერენიტეტი - სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლება განახორციელოს სახელმწიფოს უფლებამოსილება/საქმიანობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ზომას და ფორმას არ აქვს მნიშვნელობა. საზღვრების განსაზღვრა/დავა - არ მოითხოვს ზუსტ დელიმიტაციას (მთლიანობაში ან ნაწილობრივ).
2. **მოსახლეობა:** მოსახლეობის რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა. მოსახლეობა დამოუკიდებელია მოქალაქეობის გაგებისგან (nationality).
3. **ეფექტური ხელისუფლება/მთავრობა:** ეფექტურ ხელისუფლებას აქვს უფლება და უნარი მართოს ტერიტორია, საგარეო და საშინაო საქმეები: კანონის უზენაესობის და უსაფრთხოების დაცვა; შესაძლოა იყოს ნომინალური?
 - კონგოს მაგალითი 1960 წელი - ეფექტური ხელისუფლების ნაკლოვანება: ორი დაპირისპირებული ცენტრალური ხელისუფლება, ბელგიის ინტერვენცია, ფინანსური მდგომარეობა, გაეროს ჯარების შეყვანა, და ა.შ. - ნაადრევი აღიარების პრობლემა თუ ხელისუფლების კრიტერიუმების შერბილება?

- ფინეთის მაგალითი 1917 – 1918 წელს რუსეთს იმპერიიდან გამოყოფის მაგალითი: გამოყოფის შემთხვევაში, ეფექტური ხელისუფლების ტესტი უფრო მკაცრად ფასდება “სტაბილური პოლიტიკური ორგანიზების დაქვემდებარების ქვეშ ყოფნა”;
- 4. საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების უნარი: არ წარმოადგენს სახელმწიფოს ექსკლუზიურ პრეროგატივას: უფრო შედეგია სახელმწიფოებრიობის ვიდრე კრიტერიუმი; ეროვნულ განმანთავისუფლებები ბრძოლის დროს ხალხების უნარი;

დამოუკიდებლობა როგორც კრიტერიუმი

დამოუკიდებლობა წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებას სხვა სახელმწიფოებისგან განცალკევებით აწარმოოს სახელმწიფოს ფუნქციები: საუბარია სუბიექტის უნარზე სხვა სახელმწიფოების კონტროლის გარეშე განახორციელოს სახელმწიფო კომპეტენციები (ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური თუ სხვა);

ფორმალური შეზღუდვები რომელიც საფრთხეს არ უქმნის დამოუკიდებლობას:

- კონსტიტუციური შეზღუდვები: ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოების მაგალითი (ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით);
- უკანონო გზით მოსული ხელისუფლება;
- საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე შეზღუდვა;
- უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზის არსებობა;
- სახელმწიფო უფლებამოსილების დელეგირება მესამე სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის;
- საერთო ორგანოების არსებობა (ავსტრია-უნგრეთი 1867-1918);
- ევროკავშირის წევრობა;

სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ფაქტიურ დამოუკიდებლობას:

- უკანონოდ შექმნილი ტერიტორიული ერთეულები;
- ოკუპაციის შედეგად შექმნილი ტერიტორიული ერთეულები - მანჯურიის მაგალითი;
- მნიშვნელოვანი გარე მესამე სახელმწიფოს კონტროლი და ხელდასმული მთავრობა (სლოვაკია 1939 – 1945/ხორვატია 1941 – 1945): ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა;

აღიარების როლის საერთაშორისო სამართალში

სახელმწიფოს საგარეო საქმეებში კომპეტენტური უწყების მიერ გამოხატული ცხადი პოზიცია, რომლითაც ქვეყანა გამოხატავს თავის მზადყოფნას მიიღოს ახალი სახელმწიფო როგორც თავისი თანასწორი ან დაეთანხმოს ახალი სახელმწიფოს წარმოშობას როგორც სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოებების შედეგს:

დეკლარაციული თეორია: სახელმწიფოს არსებობა დამოუკიდებელია ფაქტობრივ გარემოებებზე (სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმები). აღიარება გაცხადებულს ქმნის სახელმწიფოს არსებობას;
კონსტიტუციური თეორია: აღიარება წარმოშობს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას - ახალ სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე (თავად აღიარება ვიდრე ფაქტობრივი გარემოებები არის შედეგის მომტანი);

სხვა გარემოებები: არაღიარების ვალდებულება - Ex injuria პრინციპი

- ქმედებები, რომელიც საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, დამრღვევისთვის სამართლებრივი უფლებების მინიჭების წყარო ვერ გახდება;
- არცერთმა სახელმწიფომ არ უნდა აღიაროს არაკანონიერი სიტუაცია, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სამართლის იუს კოგენს (*jus cogens*) ნორმის სერიოზული დარღვევის შედეგად;
- *Jus cogens* = იმპერატიული ნორმა: აგრესიული ომის აკრძალვა, გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ეთნიკური წმენდა, ომის დანაშაულები, მეკობრეობა და მონათვაჭრობა, წამების აკრძალვა, თვით-გამორკვევის უფლება.

სავარაუდო მონახაზი დისკუსიის შედეგად

| აფხაზეთი | ცხინვალის რეგიონი |
|--|---|
| ტერიტორია - აქვს | ტერიტორია - აქვს |
| მუდმივი მოსახლეობა - ჰყავს თუმცა რამდენად სრულყოფილია დევნილების ფონზე | მუდმივი მოსახლეობა - ჰყავს თუმცა რამდენად სრულყოფილია დევნილების ფონზე |
| ეფექტური ხელისუფლება - ჰყავს თუმცა გასათვალისწინებელია რუსეთის ფედერაციის კონტროლის ფაქტორი (დამოუკიდებლობის ელემენტი) | ეფექტური ხელისუფლება - ჰყავს თუმცა გასათვალისწინებელია რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლის ფაქტორი (დამოუკიდებლობის ელემენტი) |
| უნარი - აქვს | უნარი - აქვს |
| აღიარება - მხოლოდ 3-მა სახელმწიფომ (დეკლარაციული თეორია) | აღიარება - მხოლოდ 2-მა სახელმწიფომ (დეკლარაციული თეორია) |
| არ აღიარება - ქართველების ეთნიკური წმენდა, რუსეთის ფედერაციის ინტერვენცია? | არ აღიარება - რუსეთის ფედერაციის ინტერვენცია? |

სავარჯიშო 6

გამოცდის შედეგის ფუნდამენტური ცნებები

მრავალპასუხიანი შეკითხვები:

- მრავალპასუხიანი შეკითხვა 2 ნაწილისგან შედგება:
 - მთავარი წინადადება, რომელშიც განსაზღვრულია პრობლემა; და
 - სავარაუდო პასუხები.
- მაგალითად:

ქვემოთ ჩამოთვლილებიდან რომელია კარიბის კუნძული? ← მთავარი წინადადება

- A. გუიანა
- B. მაუი
- C. იამაიკა
- D. ბერმუდა

← სავარაუდო პასუხები

მრავალპასუხიანი კითხვების შედეგის გაიდლაინები

- როდესაც შესაძლებელია, მთავარი აზრი პირდაპირი კითხვის სახით ჩამოაყალიბეთ ნაცვლად არასრული განცხადებისა.
- მთავარი წინადადება ერთ, კონკრეტულ საკითხს ან პრობლემას უნდა ეხებოდეს.
- მოერიდეთ მთავარ წინადადებაში ზედმეტი სიტყვების, ან შეუსაბამო ინფორმაციის გამოყენებას.
- სიტყვა, რომელიც ყველა სავარაუდო პასუხში მეორდება, მთავარ წინადადებაშიც გამოიყენეთ.
- უარყოფითად ფორმულირებულ მთავარ წინადადებას ხშირად ნუ გამოიყენეთ. უარყოფითი სიტყვა გახაზეთ და/ან დიდი ასოებით დაწერეთ.
- ნაკლებად მცოდნე, ან სუსტი უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტისათვის ყველა სავარაუდო პასუხი დამაჯერებელი და მიმზიდველი უნდა იყოს
- ალტერნატიული პასუხები ურთიერთგამომრიცხავი უნდა იყოს.
- სავარაუდო პასუხები დაახლოებით თანაბარი სიგრძის უნდა იყოს.
- გამოიყენეთ სულ მცირე 4 სავარაუდო პასუხი, რათა შეამციროთ სწორი პასუხის გამოცნობის ალბათობა
- ყველა სავარაუდო პასუხი ერთი ფორმის უნდა იყოს.
- ზომიერად გამოიყენეთ სავარაუდო პასუხი რომელიც მოიცავს ტექსტს “არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი”, ან “ყველა ზემოთ ჩამოთვლილი”, და დროდადრო ზუსტად ის გამოიყენეთ სწორ პასუხად.

გამოცდაზე ესეის გამოყენება

1. რა უპირატესობები აქვს ესეის დაწერას მრავალპასუხიან კითხვასთან შედარებით?
 - a. ესეის კითხვის მომზადება უფრო ადვილია;
 - b. ამოწმებს გამოყენების სინთეზს და შეფასების დონეებს;
 - c. ესეის წერისას შემთხვევით მიხვედრის შესაძლებლობა ნაკლებია;
 - d. უფრო რეალურ დავალებას აძლევს სტუდენტს;
 - e. შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს წარმოაჩინოს ცოდნის ორგანიზების, შეხედულებების გამოხატვისა და ორიგინალობის გამოვლენის უნარი
2. რა ნაკლოვანებები აქვს გამოცდაზე ესეის დაწერას მრავალპასუხიანი კითხვის გამოყენებასთან შედარებით?
 - a. დროის სიმცირის გამო შინაარსის შეზღუდულად გაცნობის შესაძლებლობას იძლევა;
 - b. არაეფექტურია ძირითადი ფაქტების ცოდნის შესამოწმებლად და მრავალპასუხიან კითხვებთან შედარებით ტყუილის მეტ შესაძლებლობას იძლევა;
 - c. სუბიექტური და ნაკლებად სანდოა მრავალპასუხიან კითხვებთან შედარებით;
 - d. უპირატესობას ანიჭებს სტუდენტებს რომელთაც კარგი წერის უნარ-ჩვევები გააჩნიათ;
 - e. სახიფათოა იმ სტუდენტებისათვის რომლებიც კითხვის მთავარი არსის თავის არიდებას ცდილობენ;
 - f. რთული შესაფასებელია.
3. რა მითითებების საშუალებით შეიძლება ესეის წერისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების შემცირება?
 - a. კითხვა ისე ჩამოაყალიბეთ, რომ დავალება ნათლად იყოს განსაზღვრული სტუდენტისთვის;
 - i. მოერიდეთ ისეთი სიტყვების გამოყენებას როგორცაა განხილვა, ან განმარტება;
 1. მაგალითად
 - a. განიხილეთ კარლ მარქსის ფილოსოფია - ნაკლებ სასურველია ვიდრე
 - b. შეადარეთ მარქსის და ნიცშეს მე-19 საუკუნის ევროპული საზოგადოების ყოველდღიური პრობლემების ანალიზი.
 - b. გამოიყენეთ ბევრი მოკლე კითხვა ერთი გრძელი ესეის კითხვის ნაცვლად.
 - i. კურსის შინაარსი მეტი ნიმუშის გამოყენების საშუალებას იძლევა.
 - c. ესეის ტესტში არ გამოიყენოთ არჩევითი კითხვები
 - i. ესეი ზრდის ტესტის სანდოობას
 - ii. თუკი 5 ესეის კითხვა გექნებათ და სტუდენტებს ამ ხუთიდან ნებისმიერ 3 კითხვაზე პასუხის გაცემას მოსთხოვთ, მაშინ 10 სხვადასხვა ტესტს მიიღებთ;

- iii. როულია განასხვავო სტუდენტი რომელსაც მხოლოდ 3 კითხვაზე შეეძლო პასუხის გაცემა იმ სტუდენტისაგან რომელსაც შეეძლო ხუთივე კითხვაზე გაეცა პასუხი.
- d. ესეის პუნქტები იმგვარად ჩამოაყალიბეთ რომ შეიძლებოდეს მაღალი კოგნიტური პროცესების გაზომვა.
 - i. ესეის მეშვეობით უნდა შევამოწმოთ შეუძლია თუ არა სტუდენტს:
 - 1. გაანალიზება
 - 2. დასაბუთება
 - 3. განმარტება
 - 4. დაპირისპირება
 - 5. შეფასება
- e. ვიდრე გამოცდის გამოყენებას გადაწყვეტ მოამზადე რუბრიკა.

დავალება 1 - მრავალპასუხიანი შეკითხვა/ტესტირება

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია მართალი, ან მცდარი, ანდა რომელ პასუხში არ ხარტ დარწმუნებული? სწორი პასუხის შემთხვევაში დაწერეთ “T” (True), არასწორის შემთხვევაში “F” (False), ხოლო თუ პასუხი არ გაქვთ “?”:

- 1. ესეის კითხვის მომზადება უფრო ადვილია, ვიდრე გამოცდის მომზადება. - T
- 2. ესეის დაწერა სტუდენტისაგან უფრო მეტ მომზადებას და სწავლას მოითხოვს ვიდრე გამოცდა. - ?
 - a. ეს ჯერ კიდევ არ არის დადგენილი
- 3. ესეი, წერის უნარ-ჩვევების ქონას მოითხოვს, ხოლო გამოცდა არა - T
 - a. წერის უნარ-ჩვევები ზეგავლენას ახდენს სტუდენტის უნარზე სწორედ გადმოსცეს ფაქტები ესეის მეშვეობით. შესაბამისად ის სტუდენტები ვისაც კარგი წერის უნარ-ჩვევები აქვთ უფრო მომგებიან მდგომარეობაში არიან.
- 4. ესეის გამოყენებისას პირი წერას სწავლობს - F
 - a. არა, მაგრამ მათ შეუძლიათ ხაზი გაუსვან რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტს ჰქონდეს წერის მეშვეობით კომუნიკაციის დამყარების უნარი. ესეის მულტიმედია გამოყენებამ შეიძლება წახალისოს მცოდნე მაგრამ ცუდი წერის უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტები გაიუმჯობესონ წერის უნარ-ჩვევები რათა უკეთესი შედეგები მიიღონ.
- 5. ესეის წერა უფრო სუბიექტური ხასიათისაა ვიდრე გამოცდა - T
 - a. სხვადასხვა მკითხველმა იდენტური პასუხები სხვადასხვაგვარად შეიძლება შეაფასოს და თავად თქვენც შეიძლება სხვადასხვაგვარად შეაფასოთ ერთი და იგივე ნაწერი სხვადასხვა დროს ბევრი გარე ფაქტორების გამო როგორცაა დალა და სხვა. გარდა ამისა, ესეის ქულაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ხელწერამ, პუნქტუაციამ და სხვა. ამ შემთხვევაში ძალიან გამოგადგებათ რუბრიკები.
- 6. გამოცდა უფრო უბიძგებს მიხვედრისაკენ ვიდრე ესეის წერა. - ?
 - a. შემთხვევით მიხვედრას ორივე ტიპის გამოცდა უწყობს ხელს. მრავალპასუხიან კითხვას “მართალია-მცდარია”და სხვას შეიძლება სწორად უპასუხოთ უბრალოდ

მიხვედრის მეშვეობით, თუმცა ესეის წერისას მეტია შინაარსის განზოგადების შესაძლებლობა. რუბრიკა ამ შემთხვევაშიც გამოგადგებათ.

7. ესეიში შეზღუდულია განსახილველი თემის შინაარსი - T
 - a. ესეის კითხვაზე პასუხის გაცემისთვის საჭირო დროის გამო, გამოცდაში მხოლოდ რამოდენიმე კითხვა შეიძლება დაისვას. ჩვეულებრივ გამოცდაზე კი იგივე დროში გაცილებით მეტი საკითხის ტესტირებაა შესაძლებელი. ამ პრობლემის ერთი გამოსავალია რამოდენიმე მოკლე ესეის გამოყენება, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები:
 1. მარგას სარჩელი შეაქვს სასამართლოში რაინისა და ოლივის წინააღმდეგ თაღლითობისთვის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით. მარგა სათანადო წესით უგზავნის ოლივს შეტყობინებას საქმესთან დაკავშირებული ჩვენების მიცემის თაობაზე, მაგრამ არ უგზავნის სასამართლოში გამომძახების უწყებას. ასევე, უგზავნის ფრენკს შეტყობინებას, მაგრამ არ უგზავნის უწყებას სასამართლოში გამოსამძახებლად. რაინი ცხადდება ოლივის მიერ ჩვენების მიცემის დღეს, რომელსაც ოლივი არ ესწრება. რაინი ასევე ცხადდება ფრენკის მიერ ჩვენების მიცემის დღეს, რომელსაც არც ფრენკი ესწრება. ჩვენებების მისაცემად ფრენკისა და ოლივის არგამოცხადების გამო, რა სახის სანქციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიძლება დაწესდეს, სამართლის რომელი ნორმ(ებ)ის თანახმად და ვის წინააღმდეგ?
 2. აღწერეთ ნებისმიერი დოგმატური შეუსაბამობები 26(ბ)(3)(ა)-26(ბ)(4)(ბ) და 26(ბ)(4)(გ)-ის მოთხოვნების დაცვის/შესრულების გახანგრძლივებასთან მიმართებაში?
 3. 2008 წლის 1 თებერვალს, ალფამ, პირადად (ადვოკატის გარეშე) სარჩელი შეიტანა ბეტას წინააღმდეგ ფედერალურ სასამართლოში, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით რადიოაქტიურ მოწამვლასთან დაკავშირებით, რომელიც 2007 წლის 11 ივლისს მოხდა. 2008 წლის 1 მაისს, სარჩელის ხანდაზმულობის 2 წლიანი ვადის ფარგლებში, ბეტას ჩაბარდა სარჩელი. როგორც აღმოჩნდა, ალფამ შეცდომით აღძრა საქმე ბეტას წინააღმდეგ და მას სარჩელი უნდა შეეტანა გამას წინააღმდეგ. 2009 წლის 3 ივნისს, სასამართლომ უარი უთხრა ალფას შუამდგომლობაზე, მის სარჩელში შესწორების შეტანასთან - მოპასუხე მხარის სახელის ბეტას გამათი შეცვლასთან დაკავშირებით, იმ მიზეზით, რომ გამას არ ჰქონდა მიღებული შეტყობინება/უწყება 15(გ)(1)(გ)(ii)-ის თანახმად, 4(ნ) წესით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში. თქვენ რომ ყოფილიყავით ალფას ადვოკატი, სასამართლოს მიერ შუამდგომლობაზე უარის თქმის შემდეგ, რას ურჩევდით ალფას მისი საქმის გაგრძელებასთან დაკავშირებით?
 4. ახსენით რა გავლენას ახდენს კანონის განმარტების პრინციპები ანალიტიკურ თანმიმდევრობაზე, შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით 12(ბ)(7) წესის შესაბამისად.
 5. თქვენი პასუხის დასაბუთებისათვის წესებში გამოყენებული ფორმულირებების საშუალებით, ახსენით, მხარე, რომელიც პასუხობს დოკუმენტების წარდგენაზე მოთხოვნას და წარადგენს ელექტრონულად დაცულ ინფორმაციას ხომ არ არის არასათანადოდ ხელმისაწვდომი, მისთვის მეტისმეტი ტვირთის დაკისრების ან იმ ხარჯების გამო, რომლის გაღებაც მას უწევს.
 6. მოკლედ განიხილეთ მართლმსაჯულებაში შეჯიბრებითობის პრინციპის ცნებასთან მიმართებაში არსებული წინააღმდეგობები, რომელიც განპირობებულია დოკუმენტების ელექტრონული წარდგენის წესების შემოღებით.
 7. გთხოვთ, გაანალიზეთ სამართლებრივ სტანდარტებში არსებული განსხვავებები, რაც არეგულირებს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას გადაწყვეტილების გამოტანაზე კანონის შესაბამისად საქმის ნაფიც მსაჯულთათვის გადაცემამდე და შუამდგომლობის დაკმაყოფილებას

გადაწყვეტილების გამოტანაზე კანონის შესაბამისად ვერდიქტის გამოცხადების/წაკითხვის შემდეგ.

8. რატომ არ არსებობს “safe harbor” („უსაფრთხო ნავსადგომი“) დებულება მაშინ როდესაც სასამართლო დამოუკიდებლად გამოსცემს სანქციებს მე-11 წესის თანახმად?
9. მოკლედ აღწერეთ შემდეგი:

- ა) მეთოდი, რომლითაც ხდება ახალი პროცესუალური ნორმების გამოყენება; და
- ბ) რა უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული წესების ძალაში შესვლამდე.

10. „უნიფიცირების“ (“commonality”) რამდენი მოთხოვნა არის 23-ე წესში? და აღწერეთ მათ შორის არსებული სამართლებრივი განსხვავებები ერთზე მეტი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.
11. მისი ელიოტს სასამართლოში სარჩელი შეაქვს ფეის ჰილის წინააღმდეგ კონტრაქტის დარღვევისთვის. ფეის ჰილს სარჩელის საპასუხოდ შეაქვს შუამდგომლობა არასაკმარისი პირადი განსჯადობისა და არაფორმულირებული მოთხოვნის გამო სარჩელზე უარის თქმის მოთხოვნით. შუამდგომლობებზე მას უარი ეთქვა. მე-12 წესში არსებული ფორმულირებების **ზუსტი მითითებით**, განმარტეთ, მართებულია თუ არა პროცედურულად:

- ა) ფეის ჰილმა შემდგომ შეიტანოს წინასწარი პასუხი-შუამდგომლობა (subsequent pre answer motion) სარჩელზე უარის თქმის მოთხოვნით, 12(ბ)(1)-ის მიხედვით;
- ბ) ფეის ჰილმა შემდგომ შეიტანოს წინასწარი პასუხი-შუამდგომლობა საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადებების/დოკუმენტების საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანაზე (judgment on the pleadings);
- გ) ფეის ჰილმა შემდგომ შეიტანოს წინასწარი პასუხი-შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის მოთხოვნით, 12(ბ)(7)-ის მიხედვით;
- დ) ფეის ფილი თავის პასუხში მოითხოვდეს გადაწყვეტილების გამოტანას წინასწარ საქმისწარმოებაზე/წარდგენილი განცხადებების/დოკუმენტების საფუძველზე;
- ე) თავის პასუხში ფეის ჰილი ეწინააღმდეგება სარჩელში არასათანადოდ ფორმულირებულ მოთხოვნას, რის შედეგადაც შესაძლებელია პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.
- ვ) თავის პასუხში ფეის ჰილი ეწინააღმდეგება სარჩელს არასწორი განსჯადობის გამო;
- ზ) ფეის ჰილის მიერ წერილობითი პასუხის/პროტესტის შეტანის შემდგომ, მისი ელიოტი განცხადებით/შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადებების/დოკუმენტების საფუძველზე.

12. გთხოვთ, განმარტეთ, შესაბამისი წესის **ფორმულირებით**, მოპასუხის მიერ სასამართლოში გამოცხადების შესახებ შეტყობინების რეგისტრაცია (filing of a notice of appearance by a defendant) ხომ არ შეუშლის ხელს მოპასუხის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების გამოტანას (entry of default against defendant) ან უბრალოდ შეზღუდავს მოპასუხის არგამოცხადების შედეგად სასამართლოს მიერ მოსარჩელეს სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.
13. გთხოვთ, შექმენით ფაქტიური სიტუაციები, სადაც მოწმე-ექსპერტს შეუძლია ჩვენების მიცემა 26(ა)(2)(ბ)-ის მოთხოვნების დაცვის გარეშე. ფაქტობრივი სიტუაციის შექმნისას, თქვენ უნდა დაუშვათ, რომ არ არსებობს არანაირი შესაბამისი დებულებები ან სასამართლოს განკარგულებები და მხოლოდ მოწმის გამო არ ჩნდება უნდობლობა.
14. გთხოვთ, ახსნათ, შეუძლია თუ არა მხარეს სათანადოდ შედავება წერილობითი ჩვენებების და ფაქტობრივი დავისთვის დაშვებული მტკიცებულების გარეშე, გამარტივებული

სამართალწარმოების გადაწყვეტილებისათვის სათანადოდ დასაბუთებული შუამდგომლობის გარეშე, სადაც გადმოცემულია მატერიალურ ფაქტზე დავის არარსებობა.

8. ესეი და გამოცდა შეიძლება ერთი და იგივე შინაარსის, ან უნარის ტესტირებისათვის იქნეს გამოყენებული - T
 - a. მრავალპასუხიანი კითხვები აუცილებელი არ არის რომ მხოლოდ მახსოვრობას ამოწმებდეს. არსებობს მრავალპასუხიანი კითხვის იმგვარი ფორმულირების შესაძლებლობა რომლის თანახმადაც ის უფრო მაღალი დონის კოგნიტურ ფუნქციებს შეამოწმებდა. გამოიყენეთ მრავალპასუხიანი კითხვის შედგენის შესახებ არსებული მასალა, რათა აჩვენოთ თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა.
9. ესეი და მრავალპასუხიანი კითხვა, ორივე კარგი საშუალებაა სტუდენტის ცოდნის დონის შესამოწმებლად - T
10. ესეის კითხვის მომზადება უფრო მარტივია, ვიდრე მრავალპასუხიანი კითხვისა, სამაგიეროდ მისი შეფასება გაცილებით უფრო რთულია - T
11. მრავალპასუხიანი კითხვების ფორმულირება უფრო რთულია, სამაგიეროდ მათი შეფასება უფრო ადვილია - T
 - a. ძალიან რთულია და დიდ დროს მოითხოვს ალტერნატიული პასუხების ფორმულირება.
12. გამოცდის გადამოწმება მნიშვნელოვანია - T
 - a. თქვენი სანდოობა ამით მოწმდება.
 - b. რა იგიქრეთ ჩემზე, როდესაც წაიკითხეთ ის შეკითხვა სადაც მექანიკური შეცდომა იყო.
13. კარგ ტესტში სტუდენტის მიერ დასაწყისში დაშვებული შეცდომა მთელ ტესტზე ახდენს ზეგავლენას და სტუდენტი განმეორებით ისჯება დასაწყისში დაშვებული შეცდომისათვის ?
 - a. ზოგადად, წერილობით ტესტში სასურველია, რომ მოვერიდოთ ისეთ დავალებებს რომლებიც წინა დავალებებში გაცემულ პასუხებზე, ან უნარ-ჩვევებზე იქნება დამოკიდებული. ამ შემთხვევაში, სტუდენტის მიერ თავში დაშვებული შეცდომა გავლენას მოახდენს შემდგომ პასუხებზე. *თუმცა რათქმა უნდა რეალურ ცხოვრებაში სამართლებრივი ანალიზი სწორედ ასეთ დამოკიდებულებებს გულისხმობს....*
14. ესეი სტუდენტს რეალური დავალების წარმოდგენის შესაძლებლობას აძლევს, რადგან რეალურ ცხოვრებაში ადვოკატს მოეთხოვება საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება და გადმოცემა და არა მრავალპასუხიანი კითხვებზე პასუხების გაცემა - T
15. მრავალპასუხიანი კითხვის მეშვეობით თითქმის ნებისმიერი კარგად განსაზღვრული შემეცნებითი მიზნის ტესტირებაა შესაძლებელი T
 - a. სწორედ ეს გავაკეთეთ მე-8 კითხვასთან მიმართებაში.

დავალება 2 - მრავალპასუხიანი ტესტების გამოყენება უმაღლესი შემეცნებითი ფუნქციების შემოწმებისათვის, როგორც კლასიფიკაცია და დაჯგუფება, პასუხის უბრალოდ გახსენებისა და მიხედვისგან განსხვავებით

1. ინდოეთში მარილის მარშის, ჩინეთში ბოქსიორთა (ი-ხე-ციუნის) აჯანყებისა და სამხრეთ აფრიკაში ზულუსების წინააღმდეგობის საერთო მიზანი იყო

- ა) ტოტალიტარული ლიდერების დამხობა
- ბ) ზედა კლასის იძულება განხორციელებინათ მიწის რეფორმის პროგრამები
- გ) უცხო ძალების გაყვანა
- დ) კომუნისტური პარტიების შექმნა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთვის

2. დასავლეთ ევროპაში რომელი მოვლენის განვითარებამ გამოიწვია სხვა დანარჩენი სამი?

- ა) ვაჭრობის გაუარესება
- ბ) რომის დაცემა
- გ) ცენტრალური მთავრობის დაშლა
- დ) რომის კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლების გაზრდა

ან

საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველი ან საქმე გარკვეული შეკითხვებისათვის:

1-3 შეკითხვები ეფუძნება შემდეგ ფაქტებს:

2007 წლის 1 თებერვალს, უინსტონ და მილდრედ გრიმსბებმა კონტრაქტი გააფორმეს ლანდშაფტის ცნობილ არქიტექტორ ანტუან ლევისთან მათი 5 აკრი ფართობის საკუთრების ტერიტორიაზე ლანდშაფტური სამუშაოების ჩასატარებლად. მათ მოეწონათ ლევის მიერ მეზობლად არსებულ ბაღებში განხორციელებული სამუშაო და ამიტომაც დაიქირავეს იგი, რომელიც მათ შეჰპირდა, რომ მათთან მუშაობას დაასრულებდა 30 მაისამდე, იმ თარიღისათვის, როცა უინსტონ და მილდრედ გრიმსბები მართავდნენ მათ ყოველწლიურ წვეულებას ბაღში. 1 მარტს გრიმსბები თავისი იახტით გაემგზავრნენ 1 თვით დასასვენებლად. ლევიმ, მათთვის შეტყობინების გარეშე, მოახდინა კონტრაქტის გადაცემა (assigned the contract to) ჰერმანისთვის, რადგან მას თვითონ ძველი სამუშაოები ჰქონდა დარჩენილი შესასრულებლად. როდესაც გრიმსბები დაბრუნდნენ, ჰერმანს სამუშაოების 60% ჰქონდა შესრულებული და ისინი ძალიან უკმაყოფილო დარჩნენ ჰერმანის მიერ განხორციელებული სამუშაოთი. გრიმსბები დაუკავშირდნენ ლევის, რომელმაც განუცხადა, რომ მან კონტრაქტი გადასცა ჰერმანს და მას აღარ გააჩნდა ვალდებულება თავდაპირველი კონტრაქტის თანახმად. გრიმსბები ძალიან გაბრაზდნენ და დაითხოვეს ჰერმანი.

შეკითხვა 1

თუ გრიმსბები შეიტანენ საჩივარს ლევის წინააღმდეგ კონტრაქტის დარღვევის საფუძველზე, ის ფაქტი, რომ ლევიმ ჰერმანს გადასცა სამუშაო შესასრულებლად

- ა) გაათავისუფლებს ლევის პასუხისმგებლობისგან, რადგან კონტრაქტი იყო გადაცემის უფლებით
- ბ) გაათავისუფლებს ლევის პასუხისმგებლობისგან, რადგან გრიმსბების უკმაყოფილების მიზეზი იყო ჰერმანის მიერ შესრულებული სამუშაო

- გ) არ გაათავისუფლებს ლევის პასუხისმგებლობისაგან, რადგანაც ამგვარი სახის ინდივიდუალური/კერძო მომსახურების კონტრაქტი არ ექვემდებარება დელეგირებას
- დ) არ გაათავისუფლებს ლევის პასუხისმგებლობისაგან, თუ კონტრაქტში არ იყო გათვალისწინებული ზუსტად ფორმულირებული დებულება კონტრაქტის გადაცემის თაობაზე.

შეკითხვა 2

გრიმსბების მიერ ჰერმანისთვის შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურებაზე უარის თქმის შემდეგ, თუ ჰერმანი აღძრავს საქმეს გრიმსბების წინააღმდეგ, ჰერმანი სავარაუდოდ:

- ა) ანაზღაურებას მიიღებს უსაფუძვლო გამდიდრების მიზნით
- ბ) ანაზღაურებას მიიღებს ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის შესრულების დოქტრინის შესაბამისად
- გ) ანაზღაურებას მიიღებს დაკარგული მოგებისთვის
- დ) არ მიიღებს ანაზღაურებას, ვინაიდან არ არსებობდა კონტრაქტი მას და გრიმსბებს შორის

შეკითხვა 3

მხოლოდ ამ შეკითხვისთვის, დავუშვათ, რომ გრიმსბებისთვის განსახორციელებელი გამწვანების სამუშაო ითვალისწინებდა მისი სხვისთვის გადაცემის შესაძლებლობას. 2007 წლის 1 მარტს, ლევიმ კონტრაქტი შესასრულებლად გადასცა ჰერმანს. თავის მხრივ, ჰერმანმა კონტრაქტი გადასცა გრიმს, რომელმაც შეასრულა ლანდშაფტირების სამუშაოები. გრიმსბები ბრუნდებიან არდადეგებიდან და ლევი უცხადებს მათ, რომ მან კონტრაქტი გადასცა ჰერმანს, რომელსაც ისინი დროულად უხდიან ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში, თუ გრინი ეცდება მიიღოს ანაზღაურება მის მიერ გაწეული სამუშაოსათვის, იგი ანაზღაურებას მიიღებს

- ა) მხოლოდ ლევისგან
- ბ) მხოლოდ ჰერმანისგან
- გ) ჰერმანის და ლევისგან
- დ) გრიმსბებისგან

რისი შემოწმება ხდება:

1. 1-ლი შეკითხვის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა

- ა) იცოდეს და გაიხსენოს სამართლებრივი ნორმა, რომ შესაძლებელია ყველა სახელშეკრულებო მოვალეობების დელეგირება, თუ მოქმედი სუბიექტის პირადი უნარები/კვალიფიკაცია, ექსპერტული ცოდნა ან პიროვნება არ წარმოადგენს კონტრაქტის არსებით ნაწილს.
- ბ) გაიაზროს, რომ ამ სიტუაციაში, მოცემული ფაქტების მიხედვით, გრიმსბებმა ლევისთან გააფორმეს გამწვანებასთან დაკავშირებით პირადი/ინდივიდუალური მომსახურების კონტრაქტი.
- გ) გაანალიზოს როგორ უნდა მოხდეს პრობლემის გადაწყვეტა და დაასკვნას, რომ სწორი პასუხია (გ), ვინაიდან, ამ შემთხვევაში ეს იყო ინდივიდუალური/კერძო მომსახურების კონტრაქტი.

2. მე-2 შეკითხვის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა

ა) **გაითვალისწინოს**, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კვაზი-ხელშეკრულების დოქტრინა, იმ **სამართლებრივი ნორმის ცოდნისა და გახსენების** შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც კონტრაქტის მხარეს შეუძლია მიიღოს მისი კუთვნილი სამართლიანი ოდენობის ანაზღაურება მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის

ბ) **გამოიყენოს** აქ ნორმა, თან ესმოდეს რა, რომ ამ ნორმის **საფუძველია** უსამართლო გამდიდრების თავიდან აცილება

გ) **დაასკვნას**, რომ (ა) არის საუკეთესო პასუხი, ამ ნორმის საფუძვლის იმ პასუხთან **ასოცირებით**, რომელიც **უსაფუძვლო გამდიდრებას** ითვალისწინებს.

3. მე-3 შეკითხვის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა

ა) **გაიაზროს** ალტერნატიული ფაქტების გავლენა სამართლებრივ შედეგებზე

ბ) **იცოდეს** იმ სამართლებრივი ნორმის შესახებ, რომლის თანახმადაც ქვე-რწმუნებულს (sub-assignee) არ გააჩნია არანაირი უფლება თავდაპირველ ცედენტთან (original assignor) მიმართებაში, რადგან მათ შორის არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობები

გ) **გაანალიზოს** ფაქტები, **მოახდინოს კლასიფიცირება** და გრინი **ალიაროს** როგორც ქვე-რწმუნებული და ლევი, როგორც თავდაპირველი ცედენტი

დ) **იცოდეს** იმ ნორმის შესახებ, რომლის თანახმადაც, რწმუნებული (assignee), რომელიც გა(და)სცემს დავალებას ქვე-რწმუნებულს ხდება თავდაპირველი ცედენტი ამ დავალებასთან მიმართებაში და შესაბამისად შესაძლოა იყოს პასუხისმგებელი

ე) **ორგანიზება გაუკეთოს** მხარეებს და **გაანალიზოს** ფაქტები სამართლის ნორმის გათვალისწინებით, **ალიაროს** და **კლასიფიცირება მოახდინოს** ჰერმანის, როგორც რწმუნებულის, რომელიც სხვაზე გა(და)სცემს დავალებას

ვ) შედეგად **დაასკვნას**, რომ შესაძლოა ჰერმანი იყოს პასუხისმგებელი და **სამართლებრივი პრობლემა გადაწყვიტოს** (ბ)-ს, როგორც სწორი პასუხის არჩევით.

სავარჯიშო 7

შეფასება კლინიკური სწავლების პროცესში

შეფასება სასწავლო პროცესის დაგეგმარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეფექტური სწავლების ფორმულა ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით გულისხმობს შესატყვისობას სწავლების მიზნებს, მეთოდებსა და შეფასებას შორის. შეფასება სწავლების პროცესში საკმაოდ კომპლექსური და მრავლისმომცველი კონცეპტია.

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის დაგეგმარებისას პედაგოგმა უზრუნველყოს შესაბამისობა და ლოგიკური ურთიერთკავშირი არა მხოლოდ სწავლების მიზნებსა და შეფასების ფორმებს შორის, არამედ კონკრეტულად - შუალედურ და დასკვნით შეფასებებს შორისაც. ამასთან, მნიშვნელოვანია დაბალანსდეს შეფასების მეთოდებიც და სტუდენტებს მიეცეთ საკუთარი აზროვნების როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით წარმოჩენის შესაძლებლობა.

ზეპირი შეფასების ფორმების გამოყენების საჭიროება ყველაზე კარგად კლინიკური სწავლების პროცესში ვლინდება. კლინიკური სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტები მათი ქცევის, კონკრეტულ (სიმულაციურ თუ ნამდვილ) პროცესებში მონაწილეობის მიხედვით ფასდებიან. კლინიკური შეფასებისთვის მნიშვნელოვანია სწორედ უწყვეტი შუალედური, თანმიმდევრულ ზრდაზე ორიენტირებული შეფასებები. ასეთი შეფასებები მოიცავს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმის გამოკითხვას, უფრო სწორად კი - კლინიკური ზედამხედველის მიერ ინტენსიურ დაკვირვებას. სწორედ ამ ტიპის შეფასებებითაა შესაძლებელი განისაზღვროს სტუდენტთა მიერ კონკრეტული პროფესიული უნარების განვითარებისა და ღირებულებების შემცენების დონე.

კლინიკური სწავლების პროცესში შუალედურ შეფასებასა და სწავლების მიზნებს შორის კავშირის მნიშვნელობის განსაზღვრისას საინტერესოა მედიაციის კლინიკის მაგალითის განხილვა. მედიაციის კლინიკის სილაბუსის გაწერისას სამართლის პედაგოგი სავარაუდო მიზნებად განსაზღვრავს მედიაციის პროცესში კლიენტის წარმომადგენლობის უნარის გამომუშავებას, მედიატორის უნარის გამომუშავებას ან იშვიათ და განსაკუთრებულ შემთხვევაში - ორივეს. სწორედ პედაგოგის მიერ შერჩეული კონკრეტული მიზანი განაპირობებს შესაბამისი ქვემიზნების ჩამოყალიბებას. მაგალითად, თუ ლექტორი სწავლების უმთავრეს მიზნად განსაზღვრავს მედიაციის პროცესში კლიენტის წარმომადგენლობის უნარის განვითარებას, სწავლების ქვემიზნებად განისაზღვრება ისეთი პროფესიული უნარებისა და ღირებულებების განვითარება, როგორებიცაა: სამართლებრივი კონსულტაციის ეტაპზე კლიენტისათვის მედიაციის პროცესის უპირატესობებისა და სირთულეების ახსნა/საქმის სპეციფიკის გათვალისწინება; კლიენტის საუკეთესო ინტერესში მოქმედება მედიაციის პროცესში; აქტიური და პასიური მოსმენა; ინფორმაციის შეგროვება; მოლაპარაკების პროცესში კლიენტის წარმომადგენლის კეთილსინდისიერება, როგორც ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნაწილი; მედიაციის გეგმის წერილობით ჩამოყალიბება და მისთ. ხოლო თუ ლექტორი სწავლების უმთავრეს მიზნად მედიატორის უნარების გამომუშავებას განსაზღვრავს, სწავლების შესაბამის ქვემიზნებად ჩამოყალიბდება ისეთი პროფესიული უნარებისა და ღირებულებების განვითარება, როგორებიცაა: ჩარჩოს მიღმა/თავისუფალი აზროვნება; სტერეოტიპების დაძლევა; კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა მედიატორის მიერ, როგორც

პროფესიული ეთიკის ნაწილი; მედიატორის მიერ საქმის შედეგისადმი ნეიტრალურობისა და მხარეთა მიმართ მიუკერძოებლობის დაცვა. სწორედ აღნიშნული მიზნებისა და ქვემიზნების მიხედვით განისაზღვრება შუალედური შეფასების ფორმები.

სავარჯიშოს მიზანი:

სავარჯიშო განკუთვნილია სამართლის პედაგოგებთან შეფასების, კონკრეტულად კი - შუალედური შეფასების სწავლების მიზნებთან შესაბამისობის, საკითხის სწავლებისათვის. სავარჯიშო აგებულია მედიაციის კლინიკის მოდელის მაგალითზე.

სავარჯიშო გაწერილია 1-საათიანი საკლასო მუშაობის მოდელისთვის.

სავარჯიშოს მიზანია, სამართლის პედაგოგებმა კლინიკური სწავლების კონტექსტში გაიაზრონ სწავლების მიზნებისა და შუალედური შეფასების ფორმების განსაზღვრის სირთულე ერთმანეთთან კავშირის უზრუნველყოფის მხრივ.

მეთოდი:

ეს სავარჯიშო კომპლექსური მეთოდოლოგიური აგებულებისაა. კერძოდ, ის შედგება ჯგუფური მუშაობის ორი ეტაპის, ერთმანეთის ვერბალურად და წერილობით შეფასების, სტუდენტების მიერ შეჯამების კომპონენტებისაგან.

- სტუდენტთა საერთო ჯგუფი იყოფა ქვეჯგუფებად სტუდენტების საერთო რაოდენობის მიხედვით. ამ სავარჯიშოს მიზნებისთვის საჭიროა ჯგუფების წყვილი ციფრი. ყველა ჯგუფს ურიგდება ორი იდენტური ფურცელი. ერთ ფურცელზე დატანილია საბაზისო ცნებები, ხოლო მეორეზე - იურისტის პროფესიული უნარებისა და ღირებულებების ჩამონათვალი. ჯგუფებმა უნდა შეარჩიონ იურისტის პროფესიული უნარებისა და ღირებულებების ჩამონათვალიდან ორი მოცემულობა და განსაზღვრონ შუალედური შეფასების ორი მეთოდი ამ უნარების/ღირებულებების განვითარებისათვის. ჯგუფებმა წერილობით უნდა ჩამოაყალიბონ მათი პასუხები და მოკლედ აღწერონ შერჩეული პროფესიული უნარის/ღირებულების შესაფასებლად განსაზღვრული შეფასების მეთოდი და მისი გამოყენების პროცესი. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 20 წუთი.
- შემდეგ ეტაპზე ჯგუფები ცვლიან მათ მიერ ჩამოყალიბებულ წერილობით პასუხებს და ერთმანეთის ნამუშევარს აფასებენ კონკრეტული შეფასების სქემის მიხედვით (ფურცელი #3). ამ ეტაპისათვის გათვალისწინებულია 20 წუთი.
- შემდეგ ეტაპზე ჯგუფები ვერბალურად ახდენენ ერთმანეთის შეფასებას იმ წერილობითი შეფასების საფუძველზე, რომელიც საკლასო მუშაობის წინა ეტაპზე განახორციელეს. სტუდენტთა მეტი ჩართულობისთვის სასურველია ჯგუფის თითოეულ წევრს მისი როლი ჰქონდეს ზეპირი შეფასების ეტაპზე. მაგალითად: ერთმა ზეპირად გამოაცხადოს ქულა, მეორემ გამოყოს ჯგუფის ნამუშევრის მთავარი ღირებულება, მესამემ ისაუბროს გაუმჯობესების/რეკომენდაციის თაობაზე. ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია 10 წუთი.
- საბოლოო ეტაპი ეთმობა სტუდენტების მიერ სავარჯიშოს შეფასებას. ლექტორი დაფასთან დგას და მართავს მარტივი შეფასების შემაჯამებელ ეტაპს: რა ვისწავლეთ ამ სავარჯიშოსგან. სტუდენტთა პასუხების ამოწურვისა და დაფაზე გამოტანის შემდგომ ლექტორი

ავსებს/ამატებს იმ სასწავლო მიზნებს/მეთოდებს, რაც თავად ჰქონდა დასახული ამ კონკრეტული სავარჯიშოსთვის. ამ ეტაპისათვის გათვალისწინებულია 10 წუთი.

სტუდენტების მიწოდებული მასალის ნიმუში:

ფურცელი #1

იურიდიული კლინიკა -

სასწავლო სივრცე, სადაც სტუდენტები სამართლის სხვადასხვა კონცეფციებს ეცნობიან და შეიმეცნებენ რეალურ ან იმიტირებულ საქმეებზე მუშაობის გზით. იურიდიული კლინიკა მოწოდებულია იურისტის პროფესიული უნარების განვითარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ.

მედიაცია -

დავის გადაწყვეტის (სასამართლოსგან) ალტერნატიული პროცესი, რომელშიც მესამე ნეიტრალური მხარე, მედიატორი, მოდავე მხარეებს ეხმარება შეთანხმების მიღწევაში. მედიატორი დავაზე გადაწყვეტილებას არ იღებს, თუმცა ის ასრულებს მოლაპარაკების პროცესის გაძღოლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციას.

როლური გათამაშება/სიმულაცია -

სწავლების მეთოდი, რომლის გამოყენებაც სტუდენტების მიერ შესასწავლი საკითხის თაობაზე განსხვავებული პერსპექტივების/როლების განსახიერებას გულისხმობს. მედიაციის კლინიკის მიზნებისათვის სტუდენტები სამწევრიანი შემადგენლობით განსახიერებენ მედიატორისა და მოდავე მხარეთა როლებს.

შუალედური შეფასება -

შეფასების ფორმა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პედაგოგს სტუდენტები შეაფასოს თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ და უზრუნველყოს საბოლოო შეფასების მაქსიმალური გამჭვირვალობა და ობიექტურობა. შუალედური შეფასება სასწავლო კურსის შეფასების X%-ს იკავებს. მედიაციის კლინიკის მიზნებისათვის, მოცემული სავარჯიშოს მაგალითზე, შუალედურ შეფასებისთვის გათვალისწინებულია 60%, დანარჩენი 40%-დან კი 20% გათვალისწინებულია საბოლოო პრეზენტაციისა და 20% კი ფინალური გამოცდისათვის.

ფურცელი #2

სტუდენტთა ჯგუფებისთვის მიწოდებულ მეორე ფურცელზე დატანილია იურისტის პროფესიული უნარებისა და ღირებულებების ჩამონათვალი, რომელიც ასე გამოიყურება:

- სამართლებრივი კონსულტაციის ეტაპზე კლიენტისათვის მედიაციის პროცესის უპირატესობებისა და სირთულეების ახსნა/საქმის სპეციფიკის გათვალისწინება;
- კლიენტის საუკეთესო ინტერესში მოქმედება მედიაციის პროცესში;
- აქტიური და პასიური მოსმენა;
- ინფორმაციის შეგროვება;
- ჩარჩოს მიღმა/თავისუფალი აზროვნება;

- სტერეოტიპების დაძლევა;
- კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა მედიატორის მიერ, როგორც პროფესიული ეთიკის ნაწილი;
- მოლაპარაკების პროცესში კლიენტის წარმომადგენლის კეთილსინდისიერება, როგორც ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნაწილი;
- მედიაციის გეგმის წერილობით ჩამოყალიბება;
- მედიატორის მიერ საქმის შედეგისადმი ნეიტრალურობისა და მხარეთა მიმართ მიუკერძოებლობის დაცვა.

ფურცელი #3/შეფასების სქემა

საერთო შეფასების ქულა - 10

შეფასების კრიტერიუმები:

- რამდენად კარგად/ადეკვატურად იქნა შერჩეული პროფესიული უნარები/ღირებულებები მედიაციის შინაარსის გათვალისწინებით - 2 ქულა;
- რამდენად კარგად/ადეკვატურად იქნა შერჩეული შუალედური შეფასების მეთოდები კონკრეტული პროფესიული უნარებისა და ღირებულებების შინაარსის გათვალისწინებით - 2 ქულა;
- რამდენად კარგად/ადეკვატურად იქნა შერჩეული შუალედური შეფასების მეთოდები როლური გათამაშების/სიმულაციის სპეციფიკის გათვალისწინებით - 2 ქულა;
- რამდენად კარგად/ადეკვატურად იქნა შერჩეული შეფასების მეთოდები შუალედური შეფასების მნიშვნელობის გათვალისწინებით - 2 ქულა;
- რამდენად კარგად/ადეკვატურად იქნა შერჩეული შუალედური შეფასების მეთოდები იურიდიული განათლების უმთავრესი მისიის, ინდივიდუალური შესწავლის უნარის მქონე იურისტების გამოზრდის, შინაარსის გათვალისწინებით - 2 ქულა.

ქულების განსაზღვრის პრინციპი:

0 - საერთოდ არა

0.5 - ძალიან სუსტად

1 - სუსტად

1.5 - კარგად

2 - ძალიან კარგად.

სავარჯიშო 8

შეფასების რუბრიკის მომზადება და გამოყენება

შეფასების რუბრიკის მომზადების მიზანია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის გამჭვირვალობის და სიცხადის უზრუნველყოფა. სასურველია რუბრიკის წინასწარ მომზადება - შეფასების შინაარსობრივ დავალებასთან ერთად. როგორც წესი რუბრიკა შედგება 3-4 ელემენტისგან:

- შესრულების ელემენტები: სამართლებრივ საკითხთა ან უნარების ჩამონათვალი რომელთა შეფასებაც სურს ლექტორს;
- შესრულების ხარისხის განმსაზღვრელი კატეგორიები: რა დონეზე იქნა ნამუშევარი შესრულებული - პირობითად, საშუალოდ, კარგად თუ საუკეთესოდ?
- კრიტერიუმის შინაარსობრივი განმარტება, რომლის საფუძველზეც ნაშრომი ხვდება ზემოაღნიშნული კატეგორიაში;
- ნიშანის/ქულის მინიჭება.

| ზეპირი შეფასების რუბრიკის მაგალითი ⁵ | | | | |
|---|---|--|--|------|
| შესრულების ელემენტები | დაწყებითი | მისაღები | სამაგალითო | ქულა |
| ორგანიზებულობა | პრეზ. არ აქვს სტრუქტურა. არ იყენებს არგუმენტებს (0-3) | პრეზ. ფოკუსირებულია და წარმოადგენს გარკვეულ არგუმენტებს (4-7) | პრეზ. აქვს სტრუქტურა და ითვალისწინებს დამაჯერებელ არგუმენტებს რომელსაც უშუალოდ გაყავხარ შედეგზე (8-10) | 5 |
| შინაარსი | უზუსტო, ზოგადი, მსმენელი ახალს არაფერს იგებს (0-6) | შინაარსი ზუსტია მაგრამ არ არის სრულყოფილი. მსმენელი აღიქვამს კონკრეტულ ნაწილებს (7-13) | შინაარსი ზუსტია და სრულყოფილი. მსმენელს უქმნის სრულ სურათს (13-20) | 13 |
| პრეზენტირება | სპიკერი შეშფოთებულია, კითხულობს და არ ამყარებს მსმენელთან | სპიკერი გაწონასწორებულია, ზოგჯერ კითხულობს და ამყარებს კავშირს | სპიკერი კომფორტულად გრძნობს თავს პრეზენტაციისას, არ ეყრდნობა ნაწერს და მსმენელთან ამყარებს | 8 |

⁵ Some Basic About Rubrics available at <http://lawteaching.org/wp-content/uploads/2016/07/plenary2b-UsingRubricstoAssess.pdf>

| | | | | |
|--|---------------------------|---------------------|-----------------------|--|
| | პირდაპირ კავშირს (0-3) | მსმენელთან (4-7) | უშუალო კავშირს (8-10) | |
|--|---------------------------|---------------------|-----------------------|--|

**სილაბუსის შეფასების სისტემის შექმნა და განვლილი მასალის საფუძველზე
შეფასების რუბრიკის მომზადება**

მიზანი

აღნიშნული სავარჯიშოს მიზანია ტრენინგში მონაწილე პირებმა მოახდინონ სწავლის და სწავლების სტრატეგიის ჩამოყალიბება და მისი ურთირთმიმართება შეფასების სისტემასთან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების გათვალისწინებით.

დავალების მეორე ნაწილი კი მოიცავს კონკრეტული მასალების საფუძველზე შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას, რაც მიზნად ისახავს მონაწილეების მიერ რუბრიკის, როგორც ერთ-ერთი შეფასების ფორმის გამოყენებას.

დავალების აღწერა

ტრენინგის მონაწილეებს ურიგდებათ ორი ტიპის დოკუმენტი: აკადემიური სამართლებრივი წერის სილაბუსი და განვლილი მასალის მონახაზი:

დავალება 1:

- თავდაპირველად მონაწილეები იყოფიან 3-4 კაციან ჯგუფებად და მათ ევალებად წარმოდგენილი სილაბუსის საფუძველზე სადაც მოცემულია კურსის აღწერა, მიზნები და შედეგები, აგრეთვე ლექციების დეტალური ჩამონათვალი და შეფასების შკალა - შეავსონ სწავლის და სწავლების სტრატეგია + შეფასების სისტემა.
- აღნიშნული დავალების შესასრულებლად მათ ეძლევათ 20 წუთი;
- ჯგუფებს ევალებად გაკეთებული მონახაზის პრეზენტაცია, რის შემდეგაც ხდება შემოთავაზებული სწავლის და სწავლების სტრატეგიების, აგრეთვე შეფასების სისტემების ანალიზი და საბოლოო ერთიანი სიის შედგენა;

დავალება 2:

- მონაწილეები იღებენ აკადემიური ნაშრომის სტრუქტურის და საკვლევი პირობის განსაზღვრის შესახებ მონახაზს, რომელშიც მოცემულია აკადემიური ნაშრომის ძირითადი შინაარსობრივი და ტექნიკური ელემენტები:
 - o შექმნით აღნიშნული დავალების საფუძველზე შეფასების მექანიზმი, რომელიც: დაეხმარება სტუდენტს აღიქვას და გაიაზროს შეფასების კრიტერიუმები. დაეხმარება ლექტორს ობიექტურად შეაფასოს - გაზომოს სტუდენტის ცოდნა;
 - o რა ტიპის ინფორმაცია გესაჭიროებათ აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

- მონაწილეებს ასევე გადაეცემათ მოკლე 6 გვერდიანი აკადემიური ნაშრომი, რომელიც უნდა შეფასდეს მონახაზში ასახული შინაარსობრივი და ტექნიკური ელემენტების მიხედვით.
- მონაწილეები იყოფიან 3-4 კაციანი ჯგუფებად და ევალუბად მოიფიქრონ შეფასების ცხრილი/მექანიზმი, რომელსაც გამოიყენებდნენ აკადემიური ნაშრომის შეფასებისას;
- აღნიშნული დავალების შესასრულებლად მათ ეძლევათ 30 წუთი;
- ჯგუფებს ევალუბად გაკეთებული მონახაზის პრეზენტაცია, რის შემდეგაც ხდება ჯგუფების შეფასების ცხრილების შედარება და ერთიანი შეფასების რუბრიკის შექმნა.

დავალბა 1. აკადემიური სამართლებრივი წერის სილაბუსის პროექტი

აღწერა

სამართლის სტუდენტს სწავლის ნებისმიერ ეტაპზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა) უნდა შესწევდეს უნარი მოამზადოს აკადემიური ნაშრომი (კვლევა, რეფერატი, სტატია, საქმის მიმოხილვა და ა.შ.) შერჩეული საკითხის ირგვლივ. კერძოდ, სტუდენტმა უნდა შეძლოს მასალის/წყაროების გამოკვლევის შედეგად შეარჩიოს, განავითაროს და დაიცვას თეზისი.

აკადემიური ნაშრომის დაწერა განსხვავდება მემორანდუმის, დასკვნის ან წერილის მომზადებისგან, რადგან ის აძლევს ავტორს საშუალებას იხელმძღვანელოს თავისი იდეებით და იმსჯელოს თავისი მოსაზრებების ირგვლივ. ამავე დროს, აკადემიური წერის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ავტორს საკუთარი მოსაზრების თუ იდეის დამტკიცებისას უნდა შესწევდეს უნარი წარმოაჩინოს საკითხისადმი მისებური ხედვა/დამოკიდებულება ან/და სიახლე, არსებული წყაროების/ლიტერატურის გათვალისწინებით და მესამე პირთა საავტორო უფლებების დაცვით. აღნიშნული კი მოითხოვს არამარტო საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული პირველადი და მეორადი წყაროების სრულყოფილ შესწავლას, არამედ ავტორის მიერ თავისი თეზისის - საკვლევი პირობის ისე წარმოჩენას, რომ ნებისმიერი მკითხველისთვის (მათ შორის არა იურისტისთვის) ნაშრომი იყოს საინტერესო, მარტივ და გასაგებ ენაზე დაწერილი, სტრუქტურირებული და დასაბუთებული, ობიექტური (ყველა მხრიდან შეფასებული) და ინოვაციური (ახლის მთქმელი).

ამ კურსის მიზანია, სამართლის სტუდენტებს დაეხმაროს როგორც კვლევის დაგეგმარებაში (საკვლევის საკითხის შერჩევა და მოფიქრება, წყაროების შესწავლა), ასევე ნაშრომის მომზადებასა (უშუალო წერის პროცესი) და გადახილისებაში (რედაქტირება).

პრერეკვიზიტი

შესავალი სამართლებრივ წერაში

სწავლის მიზნები

- დამოუკიდებლად სწავლის უნარის გაუმჯობესება;
- სამართლებრივი კითხვისა და აღქმის უნარის გაუმჯობესება;
- საკვლევი პირობის (თეზისის) სწორი შერჩევის და შეფასების უნარის განვითარება;

შეფასების შკალა შემდეგია:

| შეფასება | აღწერა | პროცენტული ინტერვალი | რიცხვითი ექვივალენტი 4.0 ბალიან შკალაში (grade points, quality points) |
|----------|--|----------------------|--|
| A | ფრიადი | 91 – 100 | 3.39 – 4.0 |
| B | ძალიან კარგი | 81 – 90 | 2.78 – 3.38 |
| C | საშუალო | 71 – 80 | 2.17 – 2.77 |
| D | დამაკმაყოფილებელი | 61 – 70 | 1.56 – 2.16 |
| E | საკმარისი | 51 – 60 | 1.0 – 1.55 |
| FX | ვერ ჩააბარა (ხელახლა ჩაბარების უფლება) | 41 – 50 | 0 |
| F | ჩაიჭრა (საგანი ახლიდან შესასწავლი) | 0 - 40 | 0 |

დავალება 2. აკადემიური ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

I. საკვლევი პირობის - თეზისის განსაზღვრა

1. პრობლემის იდენტიფიცირება:
 - a. საკითხი/თემატიკა რომელზეც არ არსებობს ერთგვაროვანი, დამაკმაყოფილებელი ან ამომწურავი პასუხი;
 - b. კანონი, გადაწყვეტილება ან პრაქტიკა, რომელმაც წარმოშვა გაურკვეველობა ან ორაზროვანი შედეგი;
 - c. საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა არის ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო.
2. პრობლემის ირგვლივ მასალების/წყაროების შესწავლა;
3. რა არის თეზისი - გარკვეული საკითხის ირგვლივ განაცხადი, ე.წ. პირობა რომელსაც ავტორი წარმოგვიდგენს:
 - a. თეზისი შეიძლება იყოს აღწერილობითი ან განმსაზღვრელი ან ორივე ერთად;
 - b. აღწერილობითი და განმსაზღვრელი განაცხადი (ფაქტების ანალიზი *v.* და მერე რა?):
 - i. აღწერილობითი - ისტორიულ კონტექსტში მსჯელობა, ნორმის ინტერპრეტაცია, იმპლემენტაცია ან პრაქტიკაში დანერგვა, და ა.შ.;
 - ii. განმსაზღვრელი - როგორ უნდა განიმარტოს ნორმა, არის თუ არა საკანონმდებლო სიახლის ან ცვლილების საჭიროება, და ა.შ.
4. თეზისი უნდა იყოს როგორც ავტორის გადმოსახედიდან ასევე მკითხველისთვის საკითხის ირგვლივ სიახლის და სიცხადის მომტანი, გამოსადეგი და დასაბუთებული/მართებული:
 - a. თეზისის სიახლე: ითქვას ის რაც აქამდე არ თქმულა (დეტალების მნიშვნელობა);
 - b. სიცხადე - არ არსებობს ამკარა და ცალსახა პასუხი;
 - c. გამოყენებადობა - რატომ არის ის მნიშვნელოვანი და ფასეული? ვინ უნდა გამოიყენოს აღნიშნული ნაშრომი?

- d. დასაბუთებულობა და მართებულობა: ყველა ალტერნატივის შეფასება (ორივე მხარის პოზიციის მომზადება და ავტორის მიერ არჩეული პოზიციის უპირატესობის მაჩვენებელი).
5. თეზისის ფორმულირების მაგალითები:
- a. აღნიშნული ნაშრომი მოწმობს იმას, რომ სამართლებრივი წერის კურსი უნდა მოიცავდეს საკანონმდებლო აქტების წერის კომპონენტს, რადგან სამართლის სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებული იურისტების უმეტესობას უწევს მსგავსი აქტების წერა, აქტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება ან არსებული აქტში ცვლილების შეტანა, რაც მოწმობს მომავალი იურისტებში აღნიშნული უნარის განვითარების აუცილებლობას;
 - b. აღნიშნული ნაშრომის მიზანია განიხილოს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის არ აღიარება საერთაშორისო საჯარო სამართლის კრილში. კერძოდ, ნაშრომში განმარტებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევის შედეგების არ აღიარების ვალდებულება და აღნიშნული ვალდებულების მნიშვნელობა და გამოყენება საერთაშორისო საზოგადოების მიერ ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფოდ აღიარების კუთხით.

II. ნაშრომის სტრუქტურა

1. ნაშრომი უნდა მოიცავდეს:
- a. შესავალს;
 - b. თეზისის განაცხადს (თეზისის განაცხადი არის გარკვეული საკითხის ირგვლივ ავტორის მიერ გაზიარებული/მხარდაჭერილი ჰიპოთეზა ან პოზიცია). თეზისის განაცხადო მოცემულია შესავალში;
 - c. ფაქტობრივ გარემოებებს/ფაქტების აღწერას. აღნიშნული მოცემულია არსებით თავებში;
 - d. ანალიზს (ნორმის ფაქტებისადმი მისადაგებას). აღნიშნული მოცემულია არსებით თავებში;
 - e. დასკვნას;

შენიშვნა: აღნიშნული ელემენტები შესაძლოა გამოყოფილ იქნას ქვესათაურებით ან შინაარსობრივად.

2. შესავალი თავი უნდა მოიცავდეს:
- a. ზოგად პრობლემას, რომელსაც ნაშრომი ეხება და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზა;
 - b. თეზისის განაცხადს;
 - c. მთლიანი ნაშრომის ანალიტიკური ნაწილის მონახაზს (ე.წ. roadmap);
3. საკანონმდებლო ჩარჩო რომელიც არ არის სრულყოფილი ან რომელსაც არ შეესაბამება პრაქტიკა:
- a. საკანონმდებლო ბაზა (მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებები);
 - b. საქმეები (ე.წ. case-law);
 - c. თეორიები და ექსპერტთა მოსაზრებები;
 - d. მონაცემები, სტატისტიკა ან/და კვლევების ანალიზი;
4. რამდენად სრულყოფილია ნაშრომში არსებული ანალიზი?
- a. კანონის/საერთაშორისო წყაროების განმარტება და ანალიზი ფაქტებთან მიმართებით;
 - b. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი;

- c. სხვა სახელმწიფოების საუკეთესო გამოცდილების შედარებითი ანალიზი;
- 5. ნაშრომის დასკვნა:
 - a. აჯამებს ნაშრომში განხილულ საკითხს/საკითხებს და ავტორის ძირითად მიგნებებს;
 - b. გამოყოფს მნიშვნელოვან/ძირითად სამტკიცებელ პირობას/პირობებს და ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული ანალიზის/კვლევის შედეგს.

III. დამატებითი ფაქტორები

1. **დამაჯერებელი თემა:** ნაშრომში განხილული საკითხი ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრისკენ, აღწერასთან ერთად ცდილობს მკითხველი დააჯეროს ავტორისეული ხედვის სისწორეში, რომელიც დაწერილია პროფესიულ დონეზე (კომპეტენტურობა);
2. **ყოვლისმომცველი** - ნაშრომში გამოყენებულია საკმარისი მასალა რაც შესაძლებლობას მისცემს მინიმალური სამართლებრივი განათლების მქონე პირს აღიქვას და შეაფასოს ავტორის თეზისი.
3. **სიზუსტე** - ფაქტობრივი და აღწერილობითი მასალა/ფაქტები არის ზუსტი და შეესაბამება სინამდვილეს;
4. **ლოგიკური** - ნაშრომი უნდა იყოს კარგად მოტივირებული/დასაბუთებული და ორგანიზებული.
5. **ცხადი და კითხვადი სტილი** - ნაშრომში უნდა იყოს დაცული ფორმალური სტილი, მაგრამ არ იყოს ძალზედ პომპეზური ან არალიტერატურული ენით დაწერილი.
6. **ციტირება და პლაგიატიზმი** - რამდენად არის ნაშრომში ასახული/გამოყენებული ნებისმიერი წყარო მითითებული სქოლიოს გამოყენებით.

დავალება 1 - სწავლების და სწავლის სტრატეგიის და შეფასების სისტემის სავარაუდო ჩამონათვალი/მონახაზი, რომელიც აღნიშნული სავარჯიშოს შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს

1. ლექტორის მიერ მიცემული ინდივიდუალური ან/და გუნდური წერილობითი დავალების მომზადება შეფასების გარეშე (განმავითარებელი შეფასება):
 - წერილობითი დავალება შეიძლება მოიცავდეს საკვლევი პირობის - თეზისის ჩამოყალიბებას და მის სემინარზე დაცვას, თეზისის ირგვლივ ნაშრომის მონახაზის, შესავლის, არსებითი ნაწილის ან/და დასკვნის წინასწარ მომზადებას.
2. ლექტორის მიერ მოტანილი წერილობითი სავარჯიშოების ადგილზე შესრულება:
 - ნაშრომის თეზისის შეფასებას, წერისას გასათვალისწინებელი საკითხების და ტექსტში არსებული შეცდომების იდენტიფიცირება, სწორი ფორმულირების შეთავაზება და ა.შ.;
3. სტუდენტის მიერ შერჩეულ თემაზე 10-15 გვერდიანი წერილობითი ნაშრომის მომზადება:
 - წერილობითი ნაშრომის სტანდარტები მოცემულია სილაბუსში;
4. განმსაზღვრელი შეფასების მაგალითები:
 - წერილობითი სავარჯიშო I: ანგარიშის ნაწილის (ექსტრაქტის) განახლება - 15% - სემესტრის მე-4 კვირა;
 - წერილობითი სავარჯიშო II: ნაშრომის გასწორება/შეფასება - 15% - სემესტრის მე-7 კვირა;
 - წერილობითი სავარჯიშო III: ნაშრომის გასწორება/შეფასება - 15% - სემესტრის მე-12 კვირა;

- წერილობითი ნაშრომი (ჯამში 40%): თეზისის განაცხადი (არ ფასდება)- სემესტრის მე-2/მე-3 კვირა;
- თეზისის განაცხადი, ნაშრომის მონახაზი და ერთი არსებითი თავი 20%: ბონუსი (ქულის გარეშე გასწორება) თუ შესრულდა მე-8 კვირამდე; სემესტრის მე-10/მე-11 კვირა;
- საბოლოო ნაშრომი 20%: სემესტრის ბოლო;

დავალება 2 - შეფასების რუბრიკის სავარაუდო მონახაზი

რა გჭირდებათ რომ იცოდეთ ლექტორის მხრიდან?

თვისება/უნარი/ცოდნა რომელიც სტუდენტმა უნდა გამოავლინოს თავის ნაშრომში/ქმნილებაში დავალების სრულყოფილი შესრულების მიზნით; სწავლის მიზნები? რა ფასდება? რა შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული კურსი;

შესრულების დონე:

- დამაკმაყოფილებელი, კარგი და ძალიან კარგი;
- დამწყები, განვითარებადი, ძირითადად შესრულებული და სამაგალითო;

ყოველი შესრულების დონის განმარტება:

- სტანდარტის ჩამოყალიბება - ლექტორის მოლოდინი;
- რა თვისებები ახასიათებს ყოველი შესრულების დონეს;

| მიზანი | დამაკმაყ. 51 - 71 | კარგი 72 - 85 | საუკეთესო 86 - 100 | ჯამი |
|---|--|--|--|------|
| რამდენად მოახდინა სტუდენტმა ნაშრომის ელემენტების იდენტიფიცირება | იპოვნა მხოლოდ შესავალი, არს. ნაწილი და დასკვნა | იპოვნა სტრუქტურა + თეზისის განაცხადი და ნაწილობრივ შეაფასა ისინი | იპოვნა სტრუქტურა + თეზისის განაცხადი და სრულყოფილად შეაფასა ისინი | 10 |
| თეზისის შეფასება | მხოლოდ მიუთითა არსებობა ან არ არსებობა | მიუთითა თეზისის განაცხადი და ზოგადად შეაფასა რამდენად არის ის ნაშრომში ფორმულირებული | მიუთითა თეზისის განაცხადი და შეაფასა რამდენად ცხადია, გამოსადეგი და დასაბუთებული | 20 |

| | | | | |
|-------------------------------|---|---|---|----|
| შესავლის და დასკვნის შეფასება | მოახდინა მათი ძირითადი ნაწილების იდენტიფიცირება | იდენტიფიცირება + მსჯელობა დასკვნას და შესავალში მოცემულ პირობას შორის | იდენტიფიცირება, მსჯელობა დასკვნას და შესავალში მოცემულ პირობას შორის + დასკვნას და ნაშრომში მოცემულ არგუმენტაციას შორის | 20 |
| საკანონმდებლო ჩარჩო | ძირითადი და მეორადი წყაროების იდენტიფიცირება | წყაროების გამოყენების ანალიზი | წყაროების გამოყენების ანალიზი, სრულყოფილების და ნაკლოვანების იდენტიფიცირება | 15 |
| ანალიზი | მისადაგების არსებობის იდენტიფიცირება | ანალიზის შეფასება და ზოგადი დასკვნა მისადაგების ელემენტის გამოყენების შესახებ | ანალიზის ნაწილების შეფასება - არის თუ არა მისადაგება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში | 20 |
| დამატებითი ფაქტორები | ზოგადად დასახელება არის თუ არა დამაჯარებელი და ცხადი; დაცულია თუ არა ციტირების წესები | ყველა დამატებითი ფაქტორის მიხედვით ზოგადი პოზიციის ჩამოყალიბება | ყველა დამატებითი ფაქტორის მიხედვით ზოგადი პოზიციის ჩამოყალიბება კონკრეტული მაგალითების მითითებით | 15 |